ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი სკანდალი მთავრობაში

ვინ შეჰპირდა ლევან ყიფიანს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას


გვ.3

პარასკევი, 24 ივლისი, 2015 | №171 (6791) | ფასი: 30 თეთრი

# „სემეკი უნდა გაუქმდეს!“



გვ.2

სოსო შატბერაშვილი: „ნაციონალების მიზანი არეულობა და გადატრიალებაა“



## „დენის გაძვირებას არ დავუშვებთ!“



ჯონდი ბაღათურია აქციებით იმუქრება


გვ.2

## ზაზა დავითაია: „რუსეთის დავალებით ჩვენ კი არა, ნაციონალები მოქმედებდნენ“

რატომ ვერ გაბედა სააკაშვილმა იგორ გიორგაძისთვის ბრალის წაყენება


გვ.7


გვ.6

## საქართველოს საკუთარი ენერგორესურსები მხოლოდ 3-4 თვის განმავლობაში ჰყოფნის


გვ.4

## გიორგი რუხაძე: „საქართველომ უნდა აღიაროს, რომ რუსეთი მტრულად განწყობილი სახელმწიფოა“

ჩვენს ქვეყანას საშინაო დავალება ბოლომდე არ შეუსრულებია

ISSN 1987-9385

## გიორგი მარგველაშვილმა აკაკი ბობოხიძის ძმა შეიწყალა



გვ.4


გვ.6

## ლპობაშეპარულ ყურძენს არავინ ჩაიბარებს

რას შეცვლის სეტყვა ყურძნის ბაზარზე

# „დენის გაძვირებას არ დავუშვებთ!“

## ჯონდი ბაღათურია აქციებით იმუქრება

ნათია ხურცილავა





ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავამ გუშინ, 23 ივლისს, სხდომის დასრულების შემდეგ დენის ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის სამართლიანი ტარიფი, რომელიც მოსახლეობის უწყვეტ და საიმედო ენერგომომარაგებას უზრუნველყოფს.

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, რომელიც ასევე ესწრებოდა სხდომას, საწინააღმდეგოს ამბობს:

***– ბატონო ჯონდი, თქვენ აცხადებთ, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას მოქალაქეები არ შეეგუებიან და დიდი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი. თქვენი აზრით, რატომ გაიზარდა ტარიფი?***

– ამ კომპანიებს ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა 8 თეთრით უნდოდათ. სემეკის სხდომას პოლიტიკოსები, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვესწრებოდით და დიდი ბრძოლის შემდეგ ტარიფი 4 თეთრამდე გაიზარდა. ხალხის ენერგიამ და ბრძოლამ, რა თქმა უნდა, შედეგი გამოიღო. ეს არის სრულიად უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილება. არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობს, რომ დენის ტარიფი გაიზარდოს. საქმე ის არის, რომ წინა პლანზე კომერციული და ბიზნესინტერესებია წამოწეული.

***– თუ ასეა, ვისი ინტერესები იკვეთება?***

– ენერგეტიკის მინისტრის. კახი კალაძეს ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის დროს კაპიკებში გადასცეს 18 ჰიდროელექტროსადგური და 3 თბოელექტროსადგური კერძო საკუთრებაში. ახლა კალაძე სწორედ ამ ბიზნესს ლობირებს. სემეკის მიერ მიღებული უსინდისო გადაწყვეტილება კახი კალაძის კისერზეა.

***– როდესაც ჟურნალისტებმა კალაძეს თქვენს ამ ბრალდებაზე ჰკითხეს, მან თქვა, რომ ეს სისულელეა.***

### რატომ გაიმართა სემეკის სხდომა დათქმულ დროზე ადრე

***რამდენად არგუმენტირებულია თქვენი პოზიცია, შეგიძლიათ გვითხრათ, რომ ეს ენერგოკომპანიები დღესაც კალაძის მფლობელობაშია?***

– რა თქმა უნდა. მე მოვისმინე კალაძის კომენტარი და ეს იყო არითმეტიკის, მიმატება-გამოკლებისა და გრამატიკის სრული უცოდინრობა. მან თქვა, თითქოს მე ვთქვი, რომ ტარიფი 25 თეთრით იზრდება. მე კი ვთქვი, რომ 25 თეთრამდე იზრდება. რეალურად ასეც მოხდება და ტარიფი 21 თეთრი და ნახევარი გახდა. 8 თეთრით ითხოვდნენ ეს კომპანიები ტარიფის გაზრდას, მაგრამ ხალხის მისვლამ და პროტესტმა შედეგი გამოიღო და მხოლოდ 4 თეთრით გაიზარდა. კალაძემ სისულელე რა არის, რომ იცოდეს, ჯერ უნდა იცოდეს, რა არის ჭკუა.

***– „ენერგო-პრო ჯორჯია“ აცხადებს, რომ თუ ტარიფი არ გაიზრდება, მაშინ, უკეთეს შემთხვევაში, მივიღებთ დენის გრაფიკს, უარეს შემთხვევაში უშუქოდ დავრჩებით. შეიძლება, ეს იყოს რეალური არგუმენტი?***

– ეს არის პირდაპირი შანტაჟი. სახელმწიფოს „ენერგო-პრო“ საბოტაჟით დაემუქრა. საბოტაჟი კი, როგორც მოგეხსენებათ, სისხლის სამართლის დანაშაულია. საბოტაჟი იწვევს არა მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, არამედ სამხედრო და პოლიტიკურ საფრთხესაც. შესაბამისად, თუ ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზეა, მაშინ ახლა „ენერგო-პროს“ ოფისში საგამოძიებო ორგანოები უნდა იყვნენ შესული.

***– როგორც ვიცით, პერმანენტული აქციები დააანონსეთ. მართლა გამოხვალთ ქუჩაში?***

– რა თქმა უნდა, ქუჩაში არა მხოლოდ მე, არამედ ყველა გამოვა. ხალხი სახლში არ გაჩერდება, რადგან გადაწყვეტილება, რომელიც სემეკმა მიიღო, უკანონოა, დაუსაბუთებელია. სემეკის სხდომას ჩვენი მომხრეები, საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დარბაზი გადაჭედილი იყო, ხალხი იქვე აპროტესტებდა ამ ყველაფერს. ვერც სემეკმა და ვერც ენერგოკომპანიებმა ვერ დაასაბუთეს ტარიფის ზრდის აუცილებლობა. ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და დაამხოს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი, კანონიერი და, რა თქმა უნდა, კონსტიტუციური გზით. როგორც წესი, ეს გზა ორნაირია: ერთი, საარჩევნო ყუთებთან ხდება ხელისუფლების დამხობა და მეორე, რომელიც ასევე კანონიერია, ქუჩებში გამოსვლა და საპროტესტო აქციების გამართვა. რა გზას აირჩევს საქართველოს საზოგადოება, ამაზე წინასწარ არ ვისაუბრებ, მაგრამ სექტემბერში ხალხი ქუჩაში გამოვა და მე ამ გამოსვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვიქნები. ამის პირობას ვაძლევ ხელისუფლებას. მერე არავინ მითხრას, ამას რატომ აკეთებო.

***– პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ დენის ტარიფის გაზრდის სუბსიდირება მოხდება სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა საუბარია საზოგადოების დაუცველ ფენებზე. ხელისუფლება გამოსავალს ეძებს?***

– ეს დამაჯერებლად სულაც არ ჟღერს. თვალთმაქცობენ და გადაგორებას ცდილობენ. რომც მოხდეს სუბსიდირება ბიუჯეტიდან, ესეც ხომ ხალხის ფულია. კალაძის ენერგოკომპანიებმა რატომ უნდა წაიღოს ხალხის ფული, არ მესმის. სხვათა შორის, სემეკის სხდომა ზაფხულში იმიტომ დაინიშნა, რომ ეს სავალალო გადაწყვეტილება გაეპარებინათ. რამდენჯერმე გაკეთდა განცხადება თავად კალაძისა და სემეკის მხრიდან, რომ სექტემბერში მოხდებოდა და არა ახლა, შუა ივლისში, როდესაც ხალხი თბილისიდან არის გასული და ქალაქში არავინ არ არის. ამის ჩანაწერები არსებობს. სემეკმა განცხადება გააკეთა, რომ 150-დღიანი ვადა ჰქონდა და სხდომა სექტემბერში იყო ჩანიშნული. მოულოდნელად სხდომა ივლისში გადმოსწიეს. პირველად სხდომა 7 ივლისს დაინიშნა, მაგრამ არავინ იცოდა ამის შესახებ ეს მოხდა ფარულად. ჩემი არხებით გავიგე, რომ სემეკმა სხდომა დანიშნა და განიხილება დენის ტარიფის გაზრდა. დავიწყე ხალხის მობილიზება, რათა სხდომას დავსწრებოდით და დავაანონსე, რომ 7 ივლისს, დილით, მარეგულირებელი კომისიის ოფისთან ვიკრიბებოდით და აქციასაც გავმართავდით. სწორედ ამ ანონსის შემდეგ მოხდა ისე, რომ მათ სხდომა გადადეს. მერე 15 ივლისს გადაიტანეს. მაშინაც იგივე გააკეთეს.

***– რატომ ხდებოდა გადაწევა?***

– ეს იყო ერთგვარი მოსინჯვა, რა რეაქციები ექნებოდა ხალხს, ასევე მიხვდნენ, რომ 15 ივლისს ჯერ კიდევ თბილისშია ხალხი. ასე გადმოიტანეს 22-23 ივლისისთვის და გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული, სამწუხაროდ, ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით. მართალია, 8 თეთრით ვერ გაზარდეს, მაგრამ 4 თეთრიც არ არის ცოტა ჩვენი მოსახლეობისთვის. ეს ჩვენს ჯიბეს დაარტყამს, ამიტომ ხალხი ქუჩაში აუცილებლად გამოვა და მოითხოვს სამართლიანობას. ეს გარდაუვალია.

# სოსო შატბერაშვილი: „სემეკი უნდა გაუქმდეს!“

მარიამ მჭედლიშვილი

რა აკავშირებს ნაციონალების მაღალჩინოსან ძებნილ სოსო თოფურიძესთან? ფლობს თუ არა დაუსაბუთებელ ქონებას? რა მიზანი ამოძრავებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას? ვინ უნდა დაადგინოს დენის ტარიფი? – „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერ სოსო შატბერაშვილს

***– ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მერაბიშვილის დროინდელი შსს-ს მაღალჩინოსან სოსო თოფურიძესთან მეგობრობაში გადანაშაულებთ. მართლა ახლობლობთ თოფურიძესთან?***

– სოსო თოფურიძეს სტუდენტობიდან ვიცნობ. იგი ბევრად ადრე გავიცანი, ვიდრე ერთ-ერთი სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე გახდებოდა. ასე შალვა ნათელაშვილი მოსკოვში სწავლობდა და მისი თანაკურსელებიდან ზოგი კრემლში მუშაობს და ზოგი – რუსეთის ძალოვან უწყებებსა და სპეცსამსახურებში. მე და სოსო თოფურიძე ამხანაგები ვართ და არა მეგობრები. მას აქვს გადაცდომები. იგი ძებნილია. ამის გამო ხომ არ ვიტყვი, თოფურიძეს არ ვიცნობ-მეთქი.

***– შალვა ნათელაშვილი თქვენი ქონებრივი საკითხების გამომზეურებასაც აპირებს.***

– ვისაც ჩემი ქონებრივი საკითხები აინტერესებს, თავისუფლად შეუძლია, ნახოს ჩემი ქონებრივი დეკლარაცია. თბილისში დაბადებულ და გაზრდილ კაცს რომ დედაქალაქში ბინა მქონდეს, ეს გასაკვირია? ან მარტყოფში აგარაკი რატომ უნდა აჩენდეს კითხვებს?

***– ლეიბორისტების ლიდერიც აცხადებს, რომ მისი მამაპაპეული სახლი არ უნდა აჩენდეს კითხვებს და ნაცმოძრაობის ფული ამასთან კავშირში არ არის.***

– ნაციონალების ფული სწორედ კავშირშია იმასთან, რომ ნათელაშვილმა მამაპაპეული სახლის გვერდით სასახლე წამოჭიმა, გარდა ამისა, არათბილისელმა კაცმა მოახერხა სპორტის სასახლის გვერდით ოთხოთახიანი ბინის შეძენა. ასევე კითხვებს ბადებს ვენაში უძრავი ქონება და ანგარიშებზე არსებული თანხები. როცა ლეიბორისტულ პარტიაში ყოფნისას ეს გამოვარკვიეთ, შალვა ნათელაშვილს არ დაუმალავს თავისი კავშირები ნაციონალებთან, მათ შორის, ვანო მერაბიშვილთან.

***– ნაციონალები ახსენეთ. მათი გეგმები რამდენიმე თემაზე გააქტიურებას უკავშირდებოდა. ბოლოს მათი აქტივობები სასაზღვრო ზოლის გადმოწევის პროცესს მიება.***

– ნაციონალების ნებისმიერი მოქმედება მიზნად არეულობასა და ქაოსს ისახავს. ისინი ძლიერები არიან ფინანსურად. გარდა ამისა, მათი კუდები დარჩენილია სხვადასხვა სფეროში. ნაციონალების კადრები ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებიათ მაღალი თანამდებობებიდან. ახლა ნაცმოძრაობა თამაშობს ხალხის პატრიოტულ გრძნობებზე. ნაციონალები, ალბათ, გამოიყენებენ ყველას, ვისაც აფინანსებდნენ და აფინანსებენ, მაგრამ ხალხს ისინი ვერ გამოიყვანენ და ვერ მობრუნდებიან. რაც უნდა უკმაყოფილო იყვნენ ადამიანები „ქართული ოცნებით“, ნაცმოძრაობა მათ ჭირივით სძულთ და მის დაძახილზე არ გამოვლენ. ნაცმოძრაობის მიზანია, მოაწყოს რევოლუცია და გადატრიალება. ხალხის გარეშე ამას ვერ მოახერხებენ.

***– გადატრიალების მოწყობას მასები არ სჭირდება. პოლიტიკური ძალის მიმართ ხალხის დამოკიდებულებასაც არა აქვს მნიშვნელობა.***

– არა, არა, ასე არ არის. ხალხის გარეშე რევოლუცია ვერ მოხდება. 2003 წელსაც მათ




### „ნაციონალების მიზანი არეულობა და გადატრიალება“

ხალხი გამოიყენეს თავიანთი მიზნებისათვის. მაშინ ე.წ. რევოლუციონერებს ხალხის მხარდაჭერა ჰქონდათ. სააკაშვილის დაპირებებისა მაშინ სჯეროდათ, შევარდნაძის მიმართ კი ბევრად მეტი უკმაყოფილება და პროტესტი არსებობდა, ვიდრე დღეს „ქართული ოცნების“ მიმართ არის, თუმცა დიდი ხანია გამოჩნდა, რომ საზოგადოებას არც „ოცნება“ უნდა და, მით უმეტეს – არც ნაციონალები. ეს მალე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება. 2016 წელს სხვა ძალები მოვლენ პარლამენტში. საშუალო თაობის გამოცდილ პოლიტიკოსებთან ერთად იქნებიან ახალგაზრდა პროფესიონალები.

***– წელან ახსენეთ, რომ ნაციონალების გავლენები სხვადასხვა სფეროში შენარჩუნდა. ეს ენერგეტიკასაც ეხება?***

– ენერგეტიკასაც ეხება. მათ ხელშია ენერგორესურსების გამტარი კომპანიები. საერთოდ, წილები შენარჩუნებული აქვთ ძმებ ბეჟუაშვილებს, კეზერაშვილს. ნაციონალების ხელშია ჟინვალი და ენგურჰესი, ენგურჰესი, რომელიც მათ რუსებს გაუყვეს. აქედან აქვს ნაცმოძრაობას დიდი ფული, რომელიც დესტაბილიზაციასა და არეულობას ხმარდება. ამ ფულით ისინი კიდევ მიაყენებენ ზიანს ქართულ სახელმწიფოს.

***– თქვენ სხვებთან ერთად გააპროტესტეთ სემეკის გადაწყვეტილება დენის გაძვირების თაობაზე.***

– 22 ივლისს, როცა სემეკმა დაადგინა თბოელექტროსადგურებისათვის დენის ტარიფის მომატება, ჩვენ, „მემარცხენე ალიანსი“, ახალი ინიციატივით გამოვედით და არამარტო გავაპროტესტეთ ახალი ტარიფი, არამედ მოვითხოვეთ სემეკის გაუქმება.

***– ეს შესაძლებელია?***

– რატომაც არა. სემეკის ეს შემადგენლობა ნაციონალების დაკომპლექტებულია. მათ ძალიან აწყობთ, რომ გამოიწვიონ უკმაყოფილების დიდი ტალღა დენის გაძვირების გამო. ეს მომგებიანია ახალი პროვოკაციების მოსაწყობად.

არავის ეგონოს, ნაციონალების რომელიმე ნაბიჯი ხალხზე ზრუნვით არის განპირობებული. წინ გვაქვს სომხეთის მაგალითი. ნაციონალებსაც ამის გამეორება უნდათ. სემეკი საერთოდ უნდა გაუქმდეს. მისი წევრების მაღალი ხელფასები უნდა გადაირიცხოს იმ ფონდში, რომელიც მოახდენს გაზრდილი ტარიფის სუბსიდირებას. ტარიფებზე უნდა იმსჯელოს პარლამენტის დარგობრივმა კომიტეტმა. საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე უნდა მიიღოს.

პარლამენტი ხალხის მიერ არჩეული და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი ორგანოა, ამიტომ ამ მტკივნეული საკითხის გადაწყვეტა მას უნდა მივანდოთ. სემეკის გაუქმების ინიციატივამ უკვე დაიმსახურა დიდი მოწონება და მხარდაჭერა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ახალი სკანდალი მთავრობაში

## ვინ შეჰპირდა ლევან ყიფიანს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას

შორენა მარსაგიშვილი





ძალიან მალე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევა მოუწევს, რასაც, შესაძლოა, ხელისუფლების შიგნით მორიგი დაპირისპირება მოჰყვეს.

როგორც ამბობენ, ამ პოსტზე პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილსა და ვიცეპრემიერ კახა კალაძეს თავიანთი კანდიდატურები ჰყავთ.

ვიცეპრემიერი ამ პოსტზე ლევან კობიაშვილს ლობირებს. კალაძის დამოკიდებულება ხელისუფლების პოზიციად იქნა აღქმული.

თუმცა, როგორც გაირკვა, პრემიერ ღარიბაშვილს ეს პოსტი სხვა ადამიანისთვის ემეტება, უფრო სწორად, ამ თანამდებობას ის სხვა პიროვნებას დაჰპირდა.

ეს სხვა სპორტის ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანია. მან მინისტრის პოსტი სწორედ ამ პირობით დატოვა.

ალბათ, ყველას გახსოვთ, რა ამბები იყო მის გარშემო ატეხილი. სპორტის საპარლამენტო კომიტეტი, გოგი თოფაძის გამოკლებით, მის გადადგომას ითხოვდა.

მათ ყიფიანის ჩასაძირად რაღაც ფაქტებიც მოიძიეს. მაგალითად, ის, რომ სპორტის სამინისტრო ჭადრაკის ფედერაციას კარგად აფინანსებდა.

რატომ იყო ჭადრაკის დაფინანსება ცუდი, ვერ ახსნეს. განმარტებებში განსაკუთრებით გაიჭედნენ, როცა ქალი მოჭადრაკეები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

დეპუტატებმა კომპრომატები ირაკლი ღარიბაშვილსაც გადასცეს. მან ყიფიანის მხარე დაიჭირა. ამის შემდეგ „ამბოხებულები“ ბიძინა ივანიშვილთან ავიდნენ.

დიდი წიოკისა და ნერვიულობის შემდეგ ყიფიანმა თანამდებობა მოულოდნელად დატოვა.

როგორც „ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ აცნობა, ყიფიანმა პრემიერისგან შეთავაზება მიიღო. ღარიბაშვილი მინისტრს დაჰპირდა, რომ ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდებოდა.

* * *

ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე, როგორც უკვე გითხარით, კალაძე კობიაშვილს ლობირებს. ყიფიანის გვარი ჯერ არ გაჟღერებულა. ამაზე განცხადება ახალგაზრდული ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გაკეთდება.

ამან მთავრობაში, შესაძლოა, ახალი დაპირისპირება გამოიწვიოს. ღარიბაშვილი და კალაძე ისედაც ვერ უგებენ ერთმანეთს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი კი, სავარაუდოდ, მათ ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორებს. ვის დარჩება გამარჯვება, ამას, ალბათ, ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს. ვიცეპრემიერს ამ საქმეში სხვა დაპირისპირების გადატანაც მოუწევს. ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ვიცეპრემიერს რაღაცების გახსენებით დაემუქრა.

სახელისუფლებო წრეებში იმასაც ამბობენ, რომ თავიდან კობიაშვილსა და არჩილ არველაძეს დაატაკებენ ერთმანეთს, დასკვნით ნაწილში კი ყიფიანს გამოიყვანენ.

* * *

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ახალგაზრდული ოლიმპიადის მერე სპორტის საპარლამენტო კომიტეტი ტარიელ ხეჩიკაშვილზე მიიტანს იერიშს. ეს ლოგიკურიც იქნება, რადგან ყიფიანის გადადგომა მათ იმისთვის სურდათ, რომ ამ პოსტზე თავიანთი კაცი დაენიშნათ.

# სოსო ჯაჭვლიანი: „იბიარდს ისეთი რეკლამა გავუკეთე, წესით, უნდა დამაჯილდოოს“

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის სოსო ჯაჭვლიანის განცხადებით, მან ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს ისეთი რეკლამა გაუკეთა, რომ წესით ჯილდო უნდა გადასცენ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, მისი 22 ივლისს გაკეთებული განცხადების შესახებ განმარტებისას განაცხადა.

როგორც მან გუშინწინ თქვა, ის ცოლის ერთგულია და იბიარდზე არასდროს დადის.

– სიტყვა იბიარდი ფიგურირებდა გუშინ. სხვათაშორის მინდა ავღნიშნო, რომ ისეთი რეკლამა გავუკეთე გუშინწინEBRD-ს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა წესით უნდა დამაჯილდოვოს, – განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.



დეპუტატმა ასევე განმარტა, რომ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ეკა ხერხეულიძემ, როდესაც ამ ბანკის ღონისძიება ტარდება, კარგად იცოდა რომ ჯაჭვლიანი იქ მიწვეული არ იყო.

მისივე თქმით, ხერხეულიძემ მას დასცინა და გუშინ მისგან შესაბამისი პასუხიც მიიღო.

– ქალბატონმა ეკამ, როცა „იბიარდი“ ტარდებოდა, ყველაზე კარგად იცოდა, რომ მე იქ მიწვეული არ ვიყავი, რადგან არც ფინანსისტი ვარ და არც ბანკირი. მან ამ სიტყვებით დამცინა და შესაბამისი პასუხი მიიღო. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ აქ პოლიტიკურ განცხადებებზე იყო საუბარი, მე პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია“, – განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.

სოსო ჯაჭვლიანმა პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე ეკა ხერხეულიძე ოჯახის დანგრევაში დაადანაშაულა.

– ქალბატონ ეკა ხერხეულიძეს ჩემი ოჯახის დანგრევის მცდელობა ჰქონდა. მან ბრძანა ამ რამდენიმე თვის წინ, პარლამენტის სესია იმიტომ ჩაიშალა, რომ კვორუმი არ შედგა, სოსო ჯაჭვლიანი „იბიარდზე“ იყოო. რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას ქალბატონო ეკა? მე „იბიარდზე“ ვერასოდეს ვიქნები, მე ერთგული მეუღლე ვარ. თქვენი გუნდი დადიოდა ამ „იბიარდზე“ 10 წლის განმავლობაში. ეს „იბიარდობა“ქვეყანას ეტყობა, – განაცხადა ჯაჭვლიანმა.

**ნიუსპრესი**

# ახმეტის გამგებელმა ცოლისძმა ლატვიაში ბიუჯეტის ხარჯზე დაასვენა

ახმეტის გამგებელმა ცოლისძმა ლატვიაში ბიუჯეტის ხარჯზე დაასვენაახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა პირადი მძღოლი შმაგი ლაგაზაური, რომელიც მისი ცოლისძმაა, ლატვიის რესპუბლიკის ლიგატნეს მხარეში ბიუჯეტის ხარჯზე დაასვენა.

გამგებლის ცოლისძმის ლატვიაში დასასვენებლად ბიუჯეტიდან 2300 ლარი გადაირიცხა, მათ შორის ქალაქ რიგაში, ღამის კლუბში გასართობად. გამგებელმა სამივლინებო დოკუმენტი შეადგინა (ბრძანება №914, 11.06.2015), სადაც წერია, რომ შმაგი ლაგაზაური ლატვიაში „კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების“ მიზნით გაიგზავნა.

არსებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ლატვიის რესპუბლიკაში ლიგატნეს მხარის ადმინისტრაციამ მიიწვია. ლიგატნეს მხარე 2010 წლიდან არის დამეგობრებული ახმეტის მუნიციპალიტეტთან.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებიდან ირკვევა, რომ ლატვიაში გამგებლის მოადგილე თამაზ ქავთარაშვილი, საკრებულოს წევრი მამუკა ხოლეგაშვილი და გამგეობის ადმინისტრაციის დამხმარე მოსამსახურე (გამგებლის ცოლის ძმა) შმაგი ლაგაზაური გაიგზავნენ.

ლატვიაში ვიზიტი 7 დღე გაგრძელდა – 6 ივლისიდან 13 ივლისის ჩათვლით.

იურისტ გელა შამიაშვილის განამრტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს მთავრობა.

– აღსანიშნავია, რომ ეს ნორმატიული აქტი მთავრობას 2014 წლის 1 აპრილამდე უნდა მიეღო, თუმცა იგი დღემდე არ მიუღია. ამიტომ აღნიშნული საკითხი პრაქტიკულად ისევ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის 231 ბრძანებულების საფუძველზე წესრიგდება. პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, ლატვიის რესპუბლიკაში მივლინებისას სადღეღამისო ნორმა 27 ევროს შეადგენს, ხოლო საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ნორმა – 60 ევროს. როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მიწვევა ლიგატნეს მხარის ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა. შესაბამისად, სამივლინებო დაფინანსება პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უნდა შემცირებულიყო. მიუხედავად ამისა, მივლინება ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სრულად დაფინანსდა, – ამბობს გელა შამიაშვილი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „ხალხის ხმა ხელისუფლებას“ ხელმძღვანელი.

მისივე თქმით, გამგებლის ცოლის ძმის მივლინება ადგილობრივ ბიუჯეტს თითქმის 2300 ლარი დაუჯდა.

**გელა შამიაშვილი:**

– მათ შორის მგზავრობის ღირებულება – 1050 ლარამდე (დაზღვევისა და სავიზო მომსახურების ჩათვლით), სადღეღამისო ხარჯი – დაახლოებით 1250 ლარი. ვინაიდან იმავე მივლინებაში გამგებლის მოადგილე თამაზ ქავთარაშვილი და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამუკა ხოლეგაშვილიც იმყოფებოდნენ, გამოდის, რომ ამ „პარტიულ-ნათესაური“ ვოიაჟისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სავარაუდოდ 7000 ლარი დაიხარჯა.

გელა შამიაშვილი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის განკარგულებაზეც 422 „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“. განკარგულების თანახმად, ბიუჯეტის მხარჯავმა დაწესებულებებმა, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმაც 2015-2016 წლების განმავლობაში უნდა იხელმძღვანელონ მთელი რიგი პრინციპებით, რომელთა შორის ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მივლინების ხარჯების დაფინანსება (განკარგულების დანართის მე-4 პუნქტი).

აღსანიშნავია, რომ დელეგაციის ლატვიაში მიწვევისა და გამგზავრების თაობაზე არც ახმეტის მუნიციპალიტეტის ინტერნეტგვერდზე და არც გამგეობის ფაცებოოკ-ის ოფიციალურ გვერდზე რაიმე ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბექა ბაიდაური შვებულებაშია გასული. მას სამსახურებრივი ტელეფონი გამორთული აქვს და ამიტომ ვერ დავუკავშირდით.



გამგებლის მოადგილის, თამაზ ქავთარაშვილის თქმით, ლატვიაში ისინი სხვადასხვა ღონისძიებებს ესწრებოდნენ. „ოფიციალური დელეგაცია რომ მიდის, რას აკეთებს ხოლმე? მგზავრობის ხარჯები ახმეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა, იქ ცხოვრება და სხვა ხარჯები კი ლიგატნეს მხარემ აანაზღაურა“.

***– კონკრეტულად რა მიზნით იყავით? რამე მოლაპარაკებებში მონაწილეობდით, ხელშეკრულება გააფორმეთ, რა სიკეთე მოუტანა თქვენმა ვიზიტმა მუნიციპალიტეტს?***

– თქვენ რომ მიდიხართ ხოლმე საზღვარგარეთ, რა სიკეთ მოგაქვთ რეგიონისთვის?

***– მე საჯარო მოხელე არ ვარ ბატონო თამაზ და არც ბიუჯეტიდან ფინანსდება ჩვენი მივლინება. მაგალითად, გამგებლის პირად მძღოლს, რომელიც მისი ცოლის ძმაა, რა დანიშნულება ჰქონდა, რა გააკეთა?***

– არ მცალია. თათბირზე ვარ და ვერ გიპასუხებთ“.

* * *

ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 5 მარტამდე პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირები საზღვარგარეთ მივლინებით შვიდჯერ იმყოფებოდნენ. მათ შორის: ლატვიასა და მოლდოვაში – 2-2-ჯერ, უკრაინაში, პოლონეთსა და ლიტვაში – თითოჯერ. მივლინების მიზნები და მისი კონკრეტული შედეგები გაცემულ ინფორმაციაში მითითებული არ არის.

მუნიციპალიტეტის გამგებელი (2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე – გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი) ბექა ბაიდაური მივლინებით იმყოფებოდა ხუთჯერ (ყველა ზემოაღნიშნულ ქვეყანაში თითოჯერ), რაც ადგილობრივ ბიუჯეტს 5428 ლარი დაუჯდა.

ასევე ხუთჯერ იმყოფებოდა უცხოეთში მივლინებაში გამგებლის მოადგილე თამაზ ქავთარაშვილი, რაშიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 6 688 ლარი დაიხარჯა.

საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საზღვარგარეთ გამგზავრებისა და ყოფნისათვის ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხის ოდენობა აღნიშნულ პერიოდში 23 915 ლარს შეადგენს.

რამდენიმე კვირის წინ, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბექა ბაიდაური ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. მივლინების ხარჯი ამ შემთხვევაშიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ჩვენ ვკითხეთ გამგებლის პირველ მოადგილეს ვაჟა ნასყიდაშვილს.

***– რა მიზნით იყო გამგებელი საბიუჯეტო ხარჯებით ამერიკაში წასული?***

– ფორუმი იყო და მასში მიიღო მონაწილეობა, – აღნიშნა ნასყიდაშვილმა.

***– თქვენ მონაწილეობთ ხოლმე საზღვარგარეთ ვიზიტებში?***

– არა, მე გულგულას (სოფელი თელავის რაიონში) ვერ ვცდები.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2015, 24 ივლისი, №171

# გიორგი რუხაძე: „საქართველომ უნდა აღიაროს, რომ რუსეთი მტრულად განწყობილი სახელმწიფოა“

## ჩვენს ქვეყანას საშინაო დავალება ბოლომდე არ შეუსრულებია

გულიკო ბალაძე

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკა აირჩიეს.

დავით უსუფაშვილის განმარტებით, „სტრატეგიული მოთმინება“ ნიშნავს ფრთხილ მოქმედებას და არა უმოქმედობას, თუმცა არ უთქვამს, ტაქტიკური თვალსაზრისით რის გაკეთებას აპირებენ.

როგორც უსუფაშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში განაცხადა, საქართველომ არ უნდა გარისკოს და მარტო არ უნდა ეცადოს ისეთი საკითხის მოგვარებას, როგორიცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებას ეხება.

— სტრატეგიული მოთმინება არის ერთადერთი სწორი პოლიტიკა. სტრატეგიული მოთმინება არ ნიშნავს ყველაფრის ატანასა და გადაყლაპვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მარტო, ცალკე არ უნდა გავრისკოთ საკითხების მოგვარება, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და შესაძლო სამხედრო დაპირისპირებას რუსეთთან. კიდევ ერთხელ ამ ნაწილში გვმართებს სტრატეგიული მოთმინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს სტრატეგიულად სახლში ჯდომასა და არაფრის კეთებას. ეს ნიშნავს პარალელურ რეჟიმში ძალიან კონკრეტული ამოცანების დასახვასა და წინსვლას, — განაცხადა უსუფაშვილმა.

როგორ აფასებენ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებებს ექსპერტები?

ექსპერტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში გიორგი რუხაძე საქართველოს ხელისუფლებების მხრიდან „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკას არ იწონებს. მისი თქმით, „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკის თაობაზე განაცხადი არასწორი გზავნილია.

— ჩვენ ვერაფერი მოვისმინეთ, გარდა იმისა, რომ საქართველო რუსეთის მოქმედებებს „სტრატეგიული მოთმინების“ გარდა ვერაფერს დაუპირისპირებს. ჩვენი ქვეყნის პირველი პირები ათჯერ ხმამაღლა უნდა საუბრობდნენ, რომ სუსტი განცხადებები მაინც მიიღონ დასავლელი ლიდერების, მათი მხარდამჭერებისა და პარტნიორების მხრიდან, — განაცხადა გიორგი რუხაძემ „პირველის“ პრესკლუბში.





გიორგი რუხაძის განცხადებით, დონალდ ტუსკის ვიზიტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა საქართველოსთვის. ეს არის საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისა და, ზოგადად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერა.

**გიორგი რუხაძე:**

— საშინაო დავალება, რომელიც საქართველოს აქვს, ბოლომდე არ შეუსრულებია. დიდწილად ამაზე იქნება დამოკიდებული უვიზო მიმოსვლის მომავალი. სექტემბერში ეწვევა საქართველოს ევროკავშირის სპეციალური მისია და შეამოწმებს პროგრესს ამ მიმართულებით. სექტემბრამდე ერთი თვეა დარჩენილი. იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები ამისთვის მზად არიან. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია დახურულია. მე არ მაქვს სრული ინფორმაცია, თუ რა გაკეთდა გასული 4-5 თვის განმავლობაში იმისთვის, რომ საქართველოს ევროკომისიის რეკომენდაციები სრულად შეესრულებინა. საქართველოს ხელისუფლებამ რიგის სამიტისთვის ვერ შეძლო რეკომენდაციების სრულად შესრულება.

15 აუცილებელი პუნქტიდან სრულად შესრულდა მხოლოდ შვიდი. რვა მათგანში დაფიქსირდა ხარვეზები. სწორედ ეს დრო მიეცა საქართველოს, რომ გამოესწორებინა ყველაფერი და შესაბამისი ნაბიჯები გადაედგა.

რუხაძე მოუწოდებს არასამთავრობო სექტორს, დარგის სპეციალისტებს, ზოგადად მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ მონიტორინგის პროცესში იმისათვის, რომ წნეხი გაიზარდოს საქართველოს ხელისუფლებაზე, ვინაიდან, დადებითი დასკვნა თუ ვერ მივიღეთ ამ წლის მიწურულს და, შესაბამისად, ევროკავშირის სამიტმა ვერ მიიღო რეკომენდაცია ევროკომისიისაგან, ეს ყველაფერი ორი წლით მაინც გადავადდება, თუ მეტით არა.

***— კონკრეტულად რა უნდა დაუპირისპიროს საქართველომ მცოცავ ოკუპაციას?***

— ბოლოს რაც მე გავიგონე საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებისაგან — იყო ის, რომ რუსულ აგრესიას, საოკუპაციო პოლიტიკასა და მცოცავ ოკუპაციას სტრატეგიულ მოთმინებას უპირისპირებენ. სტრატეგიული მოთმინება იძულებითი ზომაა და არანაირად საამაყო არ არის. არ მესმის, როდესაც მაღალჩინოსნები ამაზე საუბრობენ, რატომ აქვთ აღმატებული სახეები. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ არასწორი გზავნილია. „სტრატეგიული მოთმინება“ აჩვენებს პასუხისმგებლობას, მაგრამ, ამასთანავე, მიუთითებს უუნარობაზე. „სტრატეგიული მოთმინება“ გჭირდება მაშინ, როცა პასუხი არ გაქვს. ეს უკვე არასწორი გზავნილია როგორც მოსკოვის, ისე ბრიუსელისა და ვაშინგტონისთვის. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ მოქმედებს.

***— საჭიროა თუ არა „სტრატეგიული მოთმინება“?***

— „სტრატეგიული მოთმინება“ აუცილებელია, თუმცა — არასაკმარისი. თავისთავად, მოთმინება არანაირ შედეგს არ მოიტანს. მოთმინებასთან და პროვოკაციაზე არწამოგებასთან ერთად საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს მწყობრი ნაბიჯები უნდა დაუპირისპიროს.

***— კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა დაუპირისპიროს საქართველომ რუსეთის აგრესიას?***

— საქართველომ უნდა აღიაროს, რომ რუსეთი არის მტრულად განწყობილი, საფრთხის შემცველი სახელმწიფო და ბორდერიზაციის თითოეულ ფაზას კონკრეტული გეგმა დაუპირისპიროს, რომელიც უნდა შედგებოდეს, მშვიდობიანი, მაგრამ აგრესიული ნაბიჯებისაგან. საპასუხო ნაბიჯი აუცილებელია. აუცილებელი არ არის იარაღის ხელში აღება. საჭიროა გამბედაობა და გამჭრიახობა.

საქართველომ რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე ყველა დონეზე უნდა დაუპირისპიროს შესაბამისი ნაბიჯი, ყველა დონეზე უნდა შეუქმნას პრობლემა. ნებისმიერი ნაბიჯი რუსეთისთვის უნდა გახდეს ბრძოლის ტოლფასი. თითოეულ მის განცხადებას ხუთი საპასუხო განცხადება მაინც უნდა დაუპირისპირონ.

საერთაშორისო მედიაში საქართველო უნდა ფიგურირებდეს, ქვეყნის პირველი პირები უნდა ფიგურირებდნენ, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული საინფორმაციო პოლიტიკა, რითაც უნდა იბრძოდეს რუსეთის რეპუტაციისა და იმიჯის საწინააღმდეგოდ, საზიანოდ, ასევე უნდა იფიქროს იმაზე, რომ საქართველოში რუსული მასმედია და პროპაგანდის საშუალებები აიკრძალოს ან ამას რაიმე დაუპირისპიროს.

საქართველო უნდა ლობირებდეს, რომ აშშ-მ და ევროკავშირმა უფრო მძლავრი და ყოვლისმომცველი სანქციები დაუწესონ რუსეთს არა მხოლოდ უკრაინაში ჩადენილი დანაშაულისთვის, არამედ საქართველოში რუსეთის პოლიტიკის საპასუხოდაც, მეტიც, საქართველომ თვითონ უნდა დაუწესოს ერთგვარი ემბარგო რუსულ პროდუქციას. ეს იქნება პოლიტიკური ნაბიჯი. ასევე უნდა გაყინოს და დააპატიმროს რუსული სახელმწიფო კაპიტალი საქართველოში. ამაზე დღემდე არავის უფიქრია.

იმისათვის, რომ საქართველომ დასავლეთისაგან რეაგირება მიიღოს, ერთი ნაბიჯით წინ უნდა უსწრებდეს საქართველოს მეგობრებისა და პარტნიორების რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. საქართველომ თითოეული კვადრატი მიტაცებული მიწა ძვირად უნდა დაუსვას რუსეთს. რუსეთს ერთი კვადრატული მიწა იმაზე ძვირი უნდა უჯდებოდეს, ვიდრე ეს მას ულირს. სწორედ ასე შეწყდება მცოცავი ოკუპაცია. სხვა შემთხვევაში ეს მუდმივად გაგრძელდება.

***— საქართველოს ხელისუფლების მხრიდან განსახორციელებელ აგრესიულ ნაბიჯებში თუ შედის ქართული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების განთავსება ოკუპაციის ზოლთან?***

— როდესაც ვსაუბრობ აგრესიულ ნაბიჯებზე, ვგულისხმობ მშვიდობიან ნაბიჯებს. მე არ ვამბობ, რომ საქართველო რუსეთს იარაღით უნდა დაუპირისპირდეს. ეს იქნება ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება მოხდეს. დარწმუნებული ვარ, არც საქართველოს ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელიც ვერ მიხვდება, რამხელა პრობლემა შეიძლება შექმნას ამან.

***— საუბარია პატრულირებაზე.***

— ოკუპაციის ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე პატრულირება უნდა ხორციელდებოდეს. საუბარია საპატრულო პოლიციაზე და არა — სამხედრო ქვედანაყოფებზე.

საპატრულო პოლიცია უნდა პატრულირებდეს ამ რეგიონში ისევე, როგორც პატრულირებენ თბილისში, ბათუმში ან გორში. ამას ორი დადებითი შედეგი ექნება. პირველი — ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა თავს დაცულად იგრძნობს, მეორე — პოლიციას ექნება ბერკეტები, შეაჩეროს ყოველგვარი თვითნებური მცდელობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, თავად დაიცვან თავი, როდესაც სახელმწიფო მათ ვერ იცავს. შესაბამისად, ეს აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯია, თუმცა, როდესაც მე აგრესიულ ქმედებებზე ვსაუბრობ, არ ვგულისხმობ ძალოვან ქმედებებს, ვგულისხმობ საერთაშორისო დონეზე ძალიან მკაცრ დაპირისპირებას, პირდაპირ და არაორაზროვან განცხადებებს, ეკონომიკური მექანიზმების ამუშავებას პოლიტიკური დატვირთვით.

# გიორგი მარგველაშვილმა აკაკი ბობოხიძის ძმა შეიწყალა





საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ, 23 ივლისს „სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ“ განკარგულებას ხელი მოაწერა, რომლის თანახმადაც სულ 98 პირია შეწყალებული.

როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, შეწყალებულთაგან 74 მსჯავრდადებული სასჯელაღსრულების დაწესებულებას დღესვე დატოვებს, ხოლო დანარჩენ 24 მსჯავრდადებულს შეფარდებული სასჯელი სხვადასხვა ფორმით შეუმცირდება.

ქორიძის განცხადებით, შეწყალებულ პატიმრებს შორის ერთი ქალბატონი და ორი არასრულწლოვანია.

ზვიად ქორიძის თქმითვე, შეწყალების კომისიამ 17-18 ივლისს სულ 589 მსჯავრდებულის საქმე განიხილა და საქართველოს პრეზიდენტს შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინა.

შეწყალებულთა შორის დეპუტატ აკაკი ბობოხიძის ძმაც არის.

პრეზიდენტის განკარგულება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უკვე გადაეგზავნა.

**ნიუსპრესი**

# მიხეილ სააკაშვილი: „მე გამოძახებით არ ვარ“



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება იმის შესახებ, რომ ის შესაძლოა მოლდოვის პრემიერ-მინისტრი გახდეს.

სააკაშვილი, სოციალურ ქსელში მოლდოველ ჟურნალისტ მარიანა რატასთან მიმოწერას ასაჯაროვებს, სადაც ჟურნალისტი სწორედ ამ საკითხის დადასტურებას ცდილობს.

სააკაშვილი ჟურნალისტს წერს, რომ ის „სახელმწიფო მოხელე გამოძახებით“ არაა.

— ძვირფასო მარიანა, მე ძალიან დადებითად ვარ განწყობილი მოლდოვის მიმართ, მას წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ მე არ ვარ „სახელმწიფო მოხელე გამოძახებით“. მე უკრაინაში ვიმყოფები იმიტომ, რომ მიყვარს ის და ვარ ქართველი ხალხის გვერდით, ასევე თავს სახლში ვგრძნობ. მე ამ ქვეყნებისთვის საკუთარ სიცოცხლესაც კი უყოყმანოდ დავთმობ. სხვა ქვეყნებთან კი არანაირი ვალდებულებები არ მაკავშირებს, მიუხედავად მათდამი პატივისცემისა, — წერს მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტს.

უცხოურ მედიაში, მოლდოველ პოლიტიკოსზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი მოლდოვის პრემიერი გახდებოდა და რომ ამაზე შეთანხმება, როგორც თავად სააკაშვილთან, ასევე უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან მიღწეული იყო.

**ნიუსპრესი**

# ახალციხეში მდინარეში სამი ახალგაზრდა დაიხრჩო

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭარაქში სამი ახალგაზრდა მდინარეში დაიხრჩო. გარდაცვლილები არიან 18-20 წლის ასაკის ორი გოგონა და ერთი ბიჭი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მდინარე ფოცხოვისა და მტკვრის შესართავთან ორი გოგონა ბანაობდა. ისინი წყალმა გაიტაცა. მათი დახმარება ბიჭმა ცადა, თუმცა სამივე მათგანი მდინარემ წაიღო. ახალგაზრდები დაიღუპნენ.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამაშველო და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები. მაშველებმა ცხედრების პოვნა შეძლეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ირაკლი ყურაშვილი: „ჩვენი მიზანია, შვეიცარიული კომპანიები საქართველოს ბაზრით დავაინტერესოთ“

**ინტერვიუ შვეიცარიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ირაკლი ყურაშვილთან**

*— ბერნში საქართველოს საელჩო სულ 3 წელია, რაც არსებობს, რა ბიძგი მისცა საელჩოს დაფუძნებამ ორმხრივ ურთიერთობებს და რა შეიცვალა ამ დროის განმავლობაში?*

— როგორც მოგეხსენებათ, წლების მანძილზე ქ. ჟენევაში არსებული საქართველოს მისია გაეროს განყოფილებებთან ამავდროულად საქართველოს საელჩოც იყო. შექმნილმა პოლიტიკურმა გამოწვევებმა მოიტანეს ის, რომ 2012 წელს გადაწყდა შვეიცარიის დედაქალაქში-ბერნში საქართველოს საელჩოს დაფუძნება.

ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია ვიყო საქართველოს პირველი ელჩი რეზიდენციით ბერნში და ორმხრივ ურთიერთობებში ხელი შევუწყო მთელი რიგი მიმართულებების განმტკიცებას. ჩვენი სამწლიანი მუშაობის შეფასებისას შემიძლია ვთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის უკვე ჩამოყალიბებული, ურთიერთნდობაზე დაფუძნებული პოლიტიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო მყარია – ეს არის მაღალი დონის ვიზიტები (საქართველოს პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები შვეიცარიაში, შვეიცარიის პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები საქართველოში), შვეიცარიის მედიაცია საქართველო-რუსეთს შორის, საპარლამენტო თანამშრომლობა, შვეიცარიის საგარეო უწყებასთან აქტიური კონსულტაციების რეჟიმში მუშაობა, წამოწყებული თანამშრომლობა კანტონებთან. აქტიურად ვთანამშრომლობთ შვეიცარიის როგორც გერმანულენოვან, ისე ფრანგულენოვან მედიასთან. ზოგადად, შეიცვალა ის, რომ შვეიცარიაში ცნობადობა საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ მკვეთრად ამაღლდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო მოხვდა ბერნის პოლიტიკური და გავლენიანი წრეების თვალსაწიერში. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ ეს შენარჩუნდეს და კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ინტერესი საქართველოსადმი, საელჩოს მხრიდან მუდმივი პროაქტიური მუშაობაა საჭირო.

*— რა როლს ასრულებს შვეიცარია, როგორც შუამავალი ქვეყანა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობაში?*

— შვეიცარიას, როგორ ნეიტრალურ სახელმწიფოს მედიატორობის დიდი გამოცდილება აქვს. ის წლების მანძილზე მედიატორულ საქმიანობას ახორციელებს აშშ-სა და კუბას, აშშ-სა და ირანს შორის. საქართველოს მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ, შვეიცარიას დაეკისრა მედიატორის ფუნქციები საქართველოსა და რუსეთს შორის, ჩემის აზრით, შვეიცარია ამ ძალიან დელიკატურ და საპასუხისმგებლო მისიას მაღალი პროფესიონალიზმითა და ყოველგვარი ზედმეტი პიარის გარეშე ახორციელებს.

შვეიცარიის მედიაციით 2011 წელს ჟენევაში გაფორმდა „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ შეთანხმება, რომლის იმპლემენტაციისათვის ბერნი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს როგორც თბილისთან, ისე მოსკოვთან. შვეიცარია დღეისათვის კომუნიკაციის მთავარი არხია თბილისსა და მოსკოვს შორის და ამ რეალობის გათვალისწინებით, შვეიცარიის კონფედერაციის პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის განსაკუთრებულია.

*— რა სფეროებია პრიორიტეტული ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში. რამდენად არსებობს შვეიცარიის ბიზნეს წრეების მხრიდან დაინტერესება საქართველოს საინვესტიციო და ბიზნეს შესაძლებლობებით?*

— ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება შვეიცარიასთან, რომელიც მსოფლიოს მე-6 ქვეყანაა, ქვეყნის გარეთ კერძო ინვესტიციების თვალსაზრისით, საელჩოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ვფიქრობ, რომ ამისათვის უკვე შექმნილია სერიოზული წინაპირობა – ეს არის 2014 წელს, თბილისში შვეიცარიის იმდროინდელ პრეზიდენტს, ბატონ დიდიე ბურკჰალტერსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს შორის ხელმოწერილი ინვესტიციების და დაცვისა წახალისების შეთანხმება, რომელიც უნდა გახდეს შვეიცარიული ინვესტიციების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი.




საელჩოს ორგანიზებით ციურიხში გაიმართა ბიზნეს-ფორუმი, გასულ წელს საქართველოს პირველად ეწვია შვეიცარიის ეკონომიკის სახელმწიფო სამდივნოს ოფიციალური დელეგაცია, 2015 წლის მაისში საქართველოს ეწვია შვეიცარიის ეკონომიკის ფედერალური მინისტრი, იოჰან შნაიდერ-ამანი, ქ. ციურიხში ფუნქციონირებს შერეული სავაჭრო პალატა. შვეიცარიული კომპანიების საქართველოთი დაინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმატი კანტონებსა და საქართველოს რეგიონებს შორის კონტაქტების ჩამოყალიბებაზეც გადის.

*— 2013 წელს ჩამოყალიბდა საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფი? რა შესაძლებლობებს იძლევა იგი ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის?*

— ორი ქვეყნის პარლამენტს შორის პრაქტიკულად მინიმალური თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. 2013 წლიდან საელჩოს ძალისხმევით საქმიანობას შეუდგა შვეიცარიის პარლამენტში დაფუძნებული საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, პოლიტიკოსი და მსხვილი საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი, სენატორი ფილიპო ლომბარდი, რომელიც გასულ წელს ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს. 2014 წლის ოქტომბერში, საელჩოს ორგანიზებით შედგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ოფიციალური ვიზიტი შვეიცარიაში. თავმჯდომარესთან ერთად შვეიცარიას ეწვია შვეიცარიასთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი, ეკა ბესელია. ეს ვიზიტი წარმოადგენდა 22 წლიანი ორმხრივი ურთიერთობების პერიოდში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ ოფიციალურ ვიზიტს შვეიცარიაში. შვეიცარიის პოლიტიკური სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, პარლამენტარებთან კონტაქტის გამყარება საკმაოდ სოლიდურ საფუძველს უყრის ზოგადად ორმხრივი თანამშრომლობის პროცესს. შვეიცარიელი პარლამენტარების უდიდესი ნაწილი არაა პროფესიონალი პოლიტიკოსი, ისინი ბიზნესმენები, ცნობილი ადვოკატები, მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან და აგრძელებენ თავიანთ სფეროში მუშაობას. შესაბამისად, ჩვენის მხრივ თითოეულ დეპუტატთან მუშაობა პოლიტიკური დატვირთვის გარდა წარმოადგენს საშუალებას საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სფეროში თანამშრომლობის პროცესის წამოსაწყებად თუ გასაღრმავებლად. დეპუტატები ასევე წარმოადგენენ თავიანთ კანტონებს და როგორც წესი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენით სარგებლობენ თავიანთ კანტონებში, რაც ხელშემწყობი ფაქტორია კანტონებსა და საქართველოს რეგიონებს შორის თანამშრომლობის დადებითი დინამიკის განსავითარებლად.

*— შვეიცარიის კანტონები, მათთან რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ რეჟიმში თანამშრომლობის განვითარება და ამის რა მაგალითები არსებობს?*

— როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარიის კონფედერაცია შედგება 26 კანტონისაგან. კანტონებს ძალიან დიდი ავტონომია გააჩნია თითქმის ყველა სფეროში და შვეიცარიის ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით, რეალურად ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გასაღები სწორედ კანტონებშია და არა ფედერალურ მთავრობაში. ბოლო 2 წლის მანძილზე შედგა ჩემი ოფიციალური ვიზიტი შვეიცარიის 14 კანტონში, 2015 წლის ბოლომდე იგეგმება კიდევ 2 ვიზიტი.

მოხარული ვარ, რომ კანტონებთან თანამშრომლობის წამოწყების ტაქტიკა კონკრეტულ შედეგების გამოღებას იწყებს. 2014 წელს გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი შაფჰაუზენში. იმავე წლის ნოემბერში, გაიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, მცხეთა-მთიანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების დელეგაციის ვიზიტი შვეიცარიის ოთხ კანტონში: გრაუბუნდენში, ტიჩინოში, ურსა და შვიცში. 2015 წლის მარტში გაიმართა ქ. თბილისის ვიცე-მერის, ნინა ხატისკაცის სამუშაო ვიზიტი შვეიცარიის დედაქალაქში. საელჩოს ორგანიზებით 2015 წლის სექტემბერში იგეგმება შაფჰაუზენის კანტონის მთავრობისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლების ვიზიტი ყვარლის მუნიციპალიტეტში. 2015 წლის სექტემბერში თელავის მერი სამუშაო ვიზიტით ეწვევა ქ. ლოზანას. სექტემბერში ტურგაუს კანტონის მთავრობის მოწვევით ტურგაუს კანტონს ეწვევა შიდა ქართლის გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების დელეგაცია.

ამ ვიზიტების მთავარი მიზანია, რომ საქართველოს რეგიონებმა მიიღონ შვეიცარიულ კანტონებში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება და შვეიცარიული კომპანიები, რომლებიც კონკრეტულ კანტონებში იმყოფებიან, დავაინტერესოთ საქართველოს ბაზრით, რათა მათ საქართველოში ინვესტიციები განახორციელონ, გინდაც ეს ინვესტიცია პირველ ეტაპზე მცირე ზომისა იყოს.

**მარიამ ჩუბინიძე**
*საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი*

## თინა ხიდაშელი ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ლუბომირ ზაორალეკს შეხვდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას ჩეხეთის მხარემ ჩერნინის სასახლეში უმასპინძლა.

შეხვედრაზე ლუბომირ ზაორალეკმა ქართულ მხარეს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ჩეხეთის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

როგორც ჩეხეთის მთავარმა დიპლომატმა აღნიშნა, მისი ქვეყანა საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას მხარს უჭერს.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მხარეებმა საქართველოსა და ჩეხეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის და საგარეო პოლიტიკის საკითხები განიხილეს. საუბარი აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში არსებულ უსაფრთხოების გარემოსაც შეეხო.

ლუბომირ ზაორალეკმა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების პროგრესი და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა.

როგორც შეხვედრის მონაწილე მხარეებმა აღნიშნეს, დღევანდელი შეხვედრა ორი ქვეყნის ინტენსიური ურთიერთთანამშრომლობის დადასტურებაა.

შეხვედრას ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ებრალიძე, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და ქართული დელეგაციის სხვა წევრები ესწრებოდნენ.

**ნიუსპრესი**

## ზურაბ აბაშიძე: „საქართველო-რუსეთის საზღვარი როკის გვირაბთან გადის“



პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე არანაირი საზღვარი არ გადმოწეულა.

მისი თქმით, რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი როკის გვირაბთან გადის და ამას რუსეთისა და ერთი ორი ქვეყნის გარდა, ყველა ადასტურებს.

ამის შესახებ აბაშიძემ, მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

— არანაირი საზღვარი არ არის გადმოწეული. რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი როკის გვირაბთან გადის. ამას საერთაშორისო თანამეგობრობა და სხვა ქვეყნებიც აღიარებენ – რუსეთისა და ერთი ორი სახელმწიფოს გამოკლებით. რაც შეეხება, საოკუპაციო ზოლზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის დამონტაჟებას, ამაზე განცხადებები გავაკეთეთ. ამის თაობაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან მწვავე საუბარი გვქონდა. ბატონი ტუსკი იმყოფებოდა აქ, მეც შეძლებისდაგვარად პრაღის ფორმატი გამოვიყენე ამისთვის. ეს 2008 წლის შედეგია, რომელსაც ჩვენ არანაირად არ უნდა შევეგუოთ, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

**ნიუსპრესი**

## „საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის გადაწევა არ მომხდარა“

### რუსეთის საგარეო უწყება განცხადებას ავრცელებს

რუსეთის საგარეო უწყების საინფორმაციო დეპარტამენტმა, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრის შედეგებზე კომენტარისას განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის გადმოწევა მოხდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

რუსეთის საგარეო უწყების მტკიცებით, შეხვედრის დროს გაირკვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, ასევე მედია არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ.

მათივე თქმით, საზღვარზე გამართული აქციები პროვოკაციულია, რაც საერთაშორისო რეზონანსის ხელოვნურად გაძლიერებისკენაა მიმართული.

ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზეა გამოქვეყნებული.

— 20 ივლისს ცხინვალის ინიციატივით, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი რიგგარეშე სხდომა გაიმართა. მასზე ქართულ – ოსურ საზღვარზე ბანერებთან დაკავშირებული პროვოკაციული ქმედები განიხილეს. შეხვედრაზე რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ასეთ ქმედებებს, ასევე სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ნიშნების განზრახ დაზიანებას, სასაზღვრო რაიონებში დაძაბულობის ზრდამდე მივყავართ. ველით, რომ ქართული მხარე, დაგეგმილ და პოლიტიზირებულ პროვოკაციებს თავს აარიდებს, რაც რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს, – ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

კვირის დასაწყისში ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების მორიგი, რიგგარეშე შეხვედრა გაიმართა.

რომელზეც ქართული მხარის განცადებით, რამდენიმე საკითხი მოგვარდა, მათ შორის, ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში მოსახლეობის მიერ მოსავლის უსაფრთხოდ აღების პირობა დაიდო, ასევე გათავისუფლდა საქართველოს მოქალაქე, რომელიც ე.წ სამხრეთ ოსეთის საზღვართან ახლოს მდებარე სოფლიდან გაიტაცეს.

თუმცა შეხვედრაზე ოსურმა მხარემ არ დააბრუნა ის ქართული დროშა, რომელიც ადგილზე გამართული მშვიდობიანი აქციის დროს საქართველოს მოქალაქეებმა აღმართეს, ოსურმა მხარემ კი ჩამოხსნა.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლპობაშეპარულ ყურძენს არავინ ჩაიბარებს

## რას შეცვლის სეტყვა ყურძნის ბაზარზე

ლალი დავითური



ვენახებში თითქმის დასრულდა სამუშაოები. მევენახეები ჯერჯერობით წლევანდელი წლით კმაყოფილნი არიან, რადგან ვენახისთვის კარგი ამინდი იყო და წელს ყურძნის უხვ მოსავალს ელიან, მაგრამ, როგორ და რა რაოდენობით მოხდება ყურძნის რეალიზაცია, არ იციან.

– წელს კარგ მოსავალს ველოდებით. მთავარია, ყურძენს ფასი ჰქონდეს შესაბამისი, რომ მოგება ვნახოთ და დაფასდეს ჩვენი შრომა, – ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ აცხადებდნენ მევენახეები.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 33 ქვეყანაში მოხდა 13.706.653 ბოთლი (0,75ლ) ღვინის ექსპორტი, რამაც თანხობრივად 39.425.552 დოლარი შეადგინა.

შარშანდელთან შედარებით არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო ღვინის ექსპორტის კლებამ უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნებში – რუსეთში – 63%, ხოლო უკრაინაში 60% შეადგინა.

2015 წლის პირველი 5 თვის ექსპორტის მაჩვენებელი, 2014 წლის მაჩვენებლის გარდა, გასული 2012-2013 წლების მაჩვენებლებს აღემატება.

მართალია, მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნებში კლება დაფიქსირდა, მაგრამ სანაცვლოდ ექსპორტის მატება აღინიშნა ახალ ბაზრებზე, ჩინეთში – 23%, იაპონიაში – 21%, ლატვიაში – 20%, ესტონეთში – 16%, კანადაში – 159%, აშშ-ში – 61%, დიდ ბრიტანეთში – 33%, ჰონგ-კონგში – 23% და სხვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა" ესაუბრა შპს „მარნისკარის" ხელმძღვანელ **მამუკა გვალიას**.

***– ბატონო მამუკა, როგორი იყო თქვენი ღვინის ექსპორტი?***

– წელს ღვინის ექსპორტი 60%-ით შემიმცირდა.

***– რატომ?***

– ჩვენი ძირითადი ბაზარი რუსეთია. იქ განვითარებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოთხოვნა ღვინოზე შემცირდა. მას დაემატა ლარის გაუფასურებაც, ყველაფერმა ერთად კი ნეგატიურად იმოქმედა ექსპორტზე.

***– ახალ ბაზრებს არ ეძებთ?***

– რა თქმა უნდა, ვეძებთ ახალ ბაზრებს, მაგრამ ისეთი მცირე ოდენობის პროდუქტი გადის ახალ ბაზრებზე, რომ ჩვენ ამით შეღავათს ჯერჯერობით ვერ ვიღებთ, სათვალავში ჩასაგდები არ არის.

***– ექსპორტის შემცირება ხომ არ გამოიწვევს ყურძნის შესყიდვის შემცირებას?***

– იქიდან გამომდინარე, რომ შარშანდელი ღვინო დამრჩა, წელს, რა თქმა უნდა, ნაკლებ ყურძენს შევიძენ.

***– ეს ყურძნის ფასზე აისახება?***

– ყურძნის ნაკლები რეალიზაცია თავისთავად გამოიწვევს ფასის დაწევას. ვნახოთ, სანამ რთველი არ დაიწყება, მანამდე საუბარი ნაადრევია. რთველის დაწყების დროს ყველაფერი გამოიკვეთება.

* * *

ღვინის ექსპორტის მკვეთრმა კლებამ გავლენა იქონია 6 თვის ექსპორტის სტატისტიკაზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 49%-თაა შემცირებული. ეს მაჩვენებელი იანვარში 87% იყო, თებერვლის მონაცემებით – 71%, მარტის – 67%, აპრილის – 58%, მაისში კი 54% შეადგინა.

ეს სტატისტიკა ერთგვარ დამაიმედებელ ინფორმაციას გვაწვდის. თუ შევადარებთ იანვრისა და მაისის თვის კლების მაჩვენებელს, დავინახავთ, რომ ეს კლება 33%-ით არის შემცირებული და შეიძლება შემოდგომისთვის კიდევ უფრო შემცირდეს და ღვინის ექსპორტი გაიზარდოს.

ყურძნის მისაღებად სრულ მზადყოფნაშია ყვარლის ღვინის მარანი. მის ხელმძღვანელ თამაზ წიწრიაშვილის თქმით, შარშან ქარხანამ 1.500 ტონა ყურძენი მიიღო და გადაამუშავა.

– წელს მზად ვიყავი 2.000 ტონა ყურძნის მისაღებად, მაგრამ სეტყვამ დიდად დააზიანა ყვარლის რაიონი.ვენახების ნახევარი დასეტყვილია.რა დარჩება მოსავლიდან, არ ვიცი.

***– რამდენია ზარალი?***

– ზარალის შესწავლა მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ყურძენი ძალიან გაფუჭდა. რაც გადარჩება, იმ ყურძნის ჩაბარებაც გაჭირდება. ნასეტყვი ყურძენი გამოუსადეგარია. თუ ყურძენს ლპობა შეეპარა, მისგან არაფერი გამოვა და არც არავინ მიიღებს.

***– თქვენი აზრით, როგორი იქნება ყურძნის ფასი?***

– ეგ არავინ იცის, დაველოდოთ რთველის დაწყებას და ვნახავთ. ბაზარი ყურძნის ფასს თვითონ დაარეგულირებს.

* * *

კახეთში მოსულმა სეტყვამ კახელი გლეხები ცუდ დღეში ჩაყარა. დასეტყვილია ყვარლისა და თელავის რაიონები. განადგურდა არა მარტო ვენახები, არამედ საზამთროს ბაღები, სიმინდის ყანები და საკარმიდამო ნაკვეთებიც.

სტიქიამ ბევრი ოჯახი დააზარალა, მაგრამ, იმედია, მოსავლის აღებამდე ასეთი ზარალი გლეხებს აღარ ექნებათ, სახელმწიფო კი, ალბათ, ყველანაირად დაეხმარება დაზარალებულ მოსახლეობას, რომ სტიქიით მიყენებული ზარალი შეძლებისდაგვარად აუნაზღაუროს.

# საქართველოს საკუთარი ენერგორესურსები მხოლოდ 3-4 თვის განმავლობაში ჰყოფნის

მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის ტარიფი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზრდება. სემეკის გადაწყვეტილებით, ტარიფი დღგ-ს გარეშე 3.348 თეთრით გაიზარდა და ეს მაშინ, როცა ენერგო-პრო ჯორჯია ტარიფის გაზრდას 4.8 თეთრამდე ითხოვდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩეხური კომპანია სემეკის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს და ტარიფის კიდევ უფრო მომატებას მოითხოვს.

ამას ენერგო-პროს წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ ელექტროენერგიისთვის საწარმოებელ გაზს დოლარში ყიდულობენ, ხოლო ნაწარმოებ ენერგიას ლარში ყიდიან. დოლარი კი არამარტო ლართან, არამედ ყველა ვალუტასთან მიმართებაში გამყარდა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ტარიფი თუ არ გაიზრდება, ისინი ბაზრიდანაც წავლენ და ზოგადად, ზამთარში მოსახლეობა ენერგიას გრაფიკით მიიღებს.

რაც შეეხებათ ექსპერტებს, ისინი არ მალავენ, რომ 2007 წელს ენერგოსისტემაში დაწყებული რეფორმა ჯერ არ დასრულებულა და მტკივნეული პროცესი სწორედ ახლა მიმდინარეობს. დოლარის გამყარების გარდა, ელექტროენერგიის ტარიფზე გავლენას ახდენს მოხმარების გაზრდა ბოლო წლებში.

2010 წელთან შედარებით მოხმარება 15%-ით არის გაზრდილი, რაც ეკონომიკური აქტივობის გაზრდას უკავშირდება. მოგეხსენებათ, ენერგეტიკის სამინისტრომ რამდენიმე ისეთ სოფელში შეიყვანა ელექტროენერგია, სადაც ათეული წლების განმავლობაში არ იყო და მოხმარება ამანაც მნიშვნელოვნად გაზარდა.

როგორც კი სემეკმა გადაწყვეტილება გამოაცხადა, ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მთავრობისკენ გაიშვირეს და ხელისუფლება ხალხის ინტერესების უგულებელყოფაში დაადანაშაულეს. არადა, რეალურად იაფი ელექტროენერგია მხოლოდ პოპულიზმის თემაა.

დღეს რეგიონში არცერთ ქვეყანას არ აქვს, უკრაინის და ყაზახეთის გარდა, უფრო იაფი ტარიფი. 2014 წლის მდგომარეობა რომ ავიღოთ, ჩვენ მეზობელ სომხეთს, რომელსაც ატომური ელექტროსადგური აქვს, ტარიფი ჩვენზე 1,5-ჯერ მეტი აქვს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კი 2-ჯერ და 3-ჯერ უფრო მეტი. მეზობელ აზერბაიჯანსაც კი, რომელიც ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანაა და თავად აწარმოებს ელექტროენერგიის ექსპორტს, სამომხმარებლო ტარიფი უფრო მაღალი აქვს, ვიდრე საქართველოს, რომელსაც საკუთარი ელექტროენერგია წლის განმავლობაში მხოლოდ 3-4 თვით აქვს.

პარალელურად, ტარიფის კორექტირების შემდეგ, ფაქტობრივად მივიღეთ იგივე ტარიფი, რაც დადგენილი იყო მოსახლეობისათვის, სანამ სემეკისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად სამომხმარებლო ტარიფი 3,55 თეთრით დაიწევდა. ანუ, გვაქვს დოლარის კურსის გამყარების ზეგავლენა ტარიფზე და გაზრდილი მოხმარება, მაგრამ მაინც მინიმუმამდე არის დაყვანილი განსხვავება.

– ჩვენ მაქსიმალურად სამართლიანად ვცდილობთ მოვექცეთ ჩვენს მოსახლეობას. როგორც კი დადგინდება საბოლოო ტარიფი, მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს ახალი ტარიფი ტვირთად საერთოდ არ დააწვეს. მინდა ფინანსთა, ეკონომიკის და ენერგეტიკის მინისტრებს დაგავალოთ, რომ დღის ბოლომდე კიდევ შევიკრიბოთ და სუბსიდირების საბოლოო ვარიანტი წარმოვადგინოთ, მანამდე უნდა დაველოდოთ სემეკის გადაწყვეტილებას და შემდეგ ვიმოქმედოთ. ასე რომ, დღეს საღამოს თუ არა ხვალ მაინც მოსახლეობას უნდა წარვუდგინოთ სუბსიდირების ის სქემა, რომელსაც ჩვენ ერთობლივად შევიმუშავებთ. მოსახლეობამ ეს არ უნდა იგრძნოს საკუთარ ჯიბეზე. ჩვენ პირველ რიგში აქცენტს გავაკეთებთ განსაკუთრებით გაჭირვებულ მოსახლეობაზე, ანუ მათზე, ვინც საჭიროებს ჩვენგან დახმარებას, – ეს განცხადება მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა.

ის, რომ სოციალურად დაუცველი ფენა გაძვირებას ვერ იგრძნობს, გადაწყვეტილი ამბავია და ეს, პრემიერის გარდა, ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემაც დაადასტურა.

მანვე აღნიშნა, რომ თუ სემეკი ტარიფის კორექტირებაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებ-



და, ეს ნიშნავდა იმას, რომ უპერსპექტივოდ დატოვებდა კომპანიებს, რომლებსაც დოლარის გამყარების გამო მდგომარეობა დაუმძიმდათ და საკმარისი ფინანსური რესურსი არ დარჩათ ინფრასტრუქტურისათვის, გაზრდილი მოხმარების შესაბამისად განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ასეთ პირობებში შესაძლოა, მცირედი ავარია, სადენების გაწყვეტა, ბუნებრივი მოვლენა იქცეს მნიშვნელოვანი კატასტროფის მიზეზად, რაც სახელმწიფოსაც და მოსახლეობასაც ბევრად ძვირი დაუჯდებოდა, ვიდრე რამდენიმე თეთრით გაზრდილი ტარიფია.

ახლა მთავარია, მთავრობამ და სემეკმა სწორი კომუნიკაცია აწარმოოს მოსახლეობასთან, რა პუნქტებით და რატომ კორექტირდა სამომხმარებლო ტარიფი. დღევანდელმა რეალობამ ნათლად დაგვანახა, რომ სამომავლოდ, რათა საქართველოს ჰქონდეს უფრო იაფი და სტაბილური ელექტროენერგია, აუცილებელია ჰესების, მათ შორის, დიდი ჰესების აშენება. მთავრობა ამ საკითხს სერიოზულად უნდა მიუდგეს და არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღების შიშით არ უნდა თქვას უარი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროექტებზე.

საქართველოს დღეს საკუთარი ენერგორესურსები მხოლოდ 3-4 თვის განმავლობაში ჰყოფნის, დანარჩენი იმპორტირებული ელექტროენერგიით ივსება. სწორედ იმიტომ, რომ იმპორტირებული ენერგის გაძვირება და სხვა მსგავსი რისკფაქტორები სამომავლოდ თავიდან ავიცილოთ, მნიშვნელოვანია საკუთარი ენერგორესურსების გამდიდრება.

რა თქმა უნდა, ჰესები უნდა აშენდეს სათანადო უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა ენერგოდამოუკიდებლობისა და ეკონომიკური ზრდისათვის საკუთარი ენერგიის წყაროები უალტერნატივოა. ცხადია, დიდი ჰესები არაპოპულარული თემაა, მაგრამ მთავრობა ვალდებულია, გააკეთოს ის, რაც საჭირო და აუცილებელია და არ შეუშინდეს არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას.

– თქვენ იცით, როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, მაშინვე დავიწყეთ მუშაობა ტარიფის შემცირებაზე მარეგულირებელ კომისიასთან ერთად და მოვახერხეთ ტარიფი შეგვემცირებინა 3,44 თეთრით. თუმცა დღეს ჩვენ გვაქვს სრულიად განსხვავებული რეალობა, დოლარის გამყარებამ მსოფლიოში ყველა ვალუტასთან, მათ შორის, ლართან გამოიწვია ეს პროცესები, ასევე ის, რომ ყოველწლიურად, სექტემბრიდან მარტის ჩათვლით, ხდება ელექტროენერგიის შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან, ეს არის რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 10%-ით მატულობს ელექტროენერგიაზე ფასი. თბოელექტროსადგურებს, რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას, ბუნებრივი აირი შემოაქვთ რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სადაც ანგარიშსწორება ხდება დოლარში, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობაზე წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვა ხდება ლარში, – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

ნანა სიხარულიძე

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია ეროვნული ბანკის შესახებ კანონზე შენიშვნებს ამზადებს

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებების ხელმოწერას არ აპირებს.

როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილმა 23 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ეროვნული ბანკის შესახებ კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მოტივირებულ შენიშვნებზე მუშაობს.

**გიორგი აბაშიშვილი:**

– 22 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოვიდა საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე. ამ ცვლილებებით გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფა. ჩვენი მხრიდან ნეგატიური პოზიცია არაერთხელ გამოითქვა.

უპირველესად, ყურადღებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ვამახვილებდით, როგორიც იყო ასოცირების დღის წესრიგის დარღვევა და საქართველოს მთავრობის განკარგულების დარღვევა. შინაარსთან დაკავშირებით ვერცერთი პროფესიული არგუმენტი ვერ მოვისმინეთ, თუ რატომ ხდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმატებულად შეფასებული საბანკი ზედამხედველობის გამოყოფა. დღეს, როდესაც უკვე მესამე მოსმენით მიღებულ, ჩვენთვის გადმოგზავნილ კანონს, ნათლად ჩანს, რომ პასუხგაუცემელი კითხვები დღემდე რჩება.

მისივე თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პრეზიდენტი წარმოდგენილ ცვლილებებს ნეგატიურად აფასებს, მოტივირებული შენიშვნების თანახმად, ახალი კანონის პროექტის სამუშაო ვერსია ჩამოყალიბდა, რომელიც მომავალში პარლამენტს გადაეგზავნება.

რაც შეეხება უშუალოდ ვეტოს, გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, ვეტოსთან დაკავშირებით პრეზიდენტი გადაწყვეტილებას თავად მიიღებს და თავად გააკეთებს კომენტარს.

მედიანიუსი

## გია ხუხაშვილი: „ეკონომიკისთვის ბიძგის მიმცემი გადაწყვეტილებები არ ჩანს"

ექსპერტ გია ხუხაშვილის განცხადებით, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ არ გაუმჯობესებულა და ისეთი სისტემური გადაწყვეტილება, რომელიც ეკონომიკას სერიოზულ ბიძგს მისცემს, ჯერჯერობით არ ჩანს.

ამის შესახებ ხუხაშვილმა „სპუტნიკ-ჯორჯიასთან" საუბრისას განაცხადა.

– ლარის დევალვაციიდან და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, – განაცხადა ხუხაშვილმა.

მანვე აღნიშნა, რომ ერთჯერადი პროექტების შექმნა მხოლოდ იმის მცდელობაა, რომ რაღაც მოლოდინი შეიქმანს, ისიც დროებით.

– დღესდღეობით მხოლოდ იმის მცდელობაა, რომ ერთჯერადი პროექტებით რაღაც კეთილდღეობის მოლოდინი შეიქმნას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ არის, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

ნიუსპრესი

# ზაზა დავითაია: „რუსეთის დავალებით ჩვენ კი არა, ნაციონალები მოქმედებდნენ“

## რატომ ვერ გაბედა სააკაშვილმა იგორ გიორგაძისთვის ბრალის წაყენება

### „კბილაშვილმა მაია ნიკოლეიშვილის განცხადება რეაგირების გარეშე დატოვა“

შორენა მარსაგიშვილი

**2006 წლის 6 სექტემბერს ნაციონალებმა მორიგი რუსული შეთქმულების ჩაშლის შესახებ გვამცნეს. სპეცოპერაციის შედეგად ანტისოროსის 12 წევრი დააკავეს და ისინი გადატრიალების ბრალდებით გაასამართლეს. ერთ-ერთი მათგანი იყო ზაზა დავითაია. მისი თქმით, ამ საქმეზე ახალი მტკიცებულებებია აღმოჩენილი და საქმის ხელახალი გამოძიების შემთხვევაში დამტკიცდება, რომ ნაციონალები და მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან შეთანხმებით დგამდნენ ანტირუსულ სპექტაკლებს.**

**რა ახალი გარემოებებია საქმეში აღმოჩენილი, რატომ არ დაიწყო საქმის გამოძიება კბილაშვილმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ზაზა დავითაია ესაუბრება.**

**ზაზა დავითაია:**

– ბოლო დროს ქვეყანაში ახალი ძალით გაჩაღდა ე.წ. ანტირუსული კამპანია. სასაცილოა, რომ ამის უკან რუსები დგანან, რომლებიც ყოველთვის მოსკოვის დაკვეთებს ასრულებდნენ. ისინი ამ ანტირუსული ისტერიკით ცდილობენ კოდორისა და ახალგორის გაყიდვის შენიღბვას.

კოდორისა და ახალგორის ჩაბარება აგვისტოს ომამდე ბევრად ადრე იყო დაგეგმილი. სწორედ ამ გეგმის განხორციელებას შევეწირეთ ჩვენ.

***– კოდორისა და ახალგორის ჩაბარებასთან თქვენი დაკავება რა შუაშია?***

– ჩვენ 2006 წლის 6 სექტემბერს დაგვაკავეს. მთელ ქვეყანას ამცნეს, რომ შეიარაღებული გზით სახელმწიფო გადატრიალებას ვაპირებდით. ამის დასადასტურებლად ერთი ვაგონი იარაღიც ამოიღეს. სწორედ ეს იარაღი დაღუპავს მათ და ყველა გაიგებს, რა მოხდა 2006 წელს.

***– რას გულისხმობთ?***

– მე ხელში ჩამივარდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები იარაღთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია ადვოკატმა მაია ელოშვილმა მოიპოვა. ჩვენს დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე კოდორში დადგეს შეიარაღებული ამბოხების ინსცენირება, რომელიც ასევე ხეობის ჩაბარების გეგმის ნაწილი იყო.

2006 წლის 29 ივლისს დააკავეს ირაკლი ბათიაშვილი. მის საქმეს თან უამრავი მტკიცებულება დაურთეს. მათ შორის იყო დიდი რაოდენობის იარაღი.

***– მოდით, დავაკონკრეტოთ, ირაკლი ბათიაშვილისგან ამოიღეს ეს იარაღი?***

– ეს იარაღი კოდორის ხეობის მოსახლეობისგან ამოიღეს. იქ იარაღი მართლაც იყო. ეს იარაღი მოსახლეობას მოწინააღმდეგისაგან თავის დასაცავად სჭირდებოდა. სხვათა შორის, იქ იარაღი სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც შეიტანეს. ეს გია ბარამიძის თავდაცვის მინისტრობის დროს მოხდა.

ყველა იარაღს აქვს თავისი ნუმერაცია. როცა იარაღის ამოღება ხდება, დოკუმენტში იარაღის ნომერსაც უთითებენ. მე ხელთ მაქვს 2 დოკუმენტი. ერთში ბათიაშვილის საქმეზე ამოღებულ იარაღზე წერია, ხოლო მეორე დოკუმენტში – ჩვენს საქმეზე ამოღებულ იარაღზე.

***– მოდით, სანამ ამ 2 დოკუმენტზე ისაუბრებდეთ, გვითხარით, რა ოდენობისა და სახის იარაღი იქნა „ამოღებული“ თქვენს საქმეზე?***

– ჩვენს საქმეზე ასეულობით იარაღი იქნა ამოღებული. საუბარია როგორც ავტომატურ იარაღზე, ასევე ყუმბარმტყორცნებზე. მაშინდელი ხელისუფლების მტკიცებით, ეს იარაღი ჩვენი თანამოაზრის, კახა ქანთარიას, სარდაფიდან იქნა ამოღებული. თავად ფაქტი, რომ ეს იარაღი ქანთარიას სარდაფში ინახებოდა, ბევრ რამეზე მიუთითებს.

***– მაინც რაზე მიუთითებს?***

– ამათ უგუნურობაზე. სარდაფი, სადაც ვითომ იარაღი ინახებოდა, არ იკეტებოდა. იქ ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ. ქანთარიას ოჯახი მურაბებსა და კომპოტებსაც კი არ ინახავდა, რადგან ყველას შეეძლო შესვლა. მაინტერესებს, ღია სარდაფში ვინ შეინახავდა იარაღს.

ამის გარდა. ჩვენი დაკავების პერიოდში კახა ქანთარია ყიდდა სახლს. მას ამის შესახებ რამდენჯერმე ჰქონდა გამოქვეყნებული განცხადება გაზეთ „სიტყვა და საქმეში“. განცხადებაში მითითებული იყო, რომ სახლი იყიდებოდა სარდაფიანად. იმ პერიოდში მასთან ხშირად მიდიოდნენ მყიდველები და სახლთან ერთად სარდაფსაც ათვალიერებდნენ. რომელი ჭკუათმყოფელი შეინახავდა ასეთ სარდაფში ერთ ვაგონ იარაღს.



## „ჩვენს საქმეზე ამოღებული იარაღი ბათიაშვილის საქმეშიც ფიგურირებს“

***– ეს არგუმენტები სასამართლოზე არ იქნა წარმოდგენილი?***

– როგორ არა, მაგრამ ამას არავინ მიაქცია ყურადღება.

***– მაინცდამაინც კახა ქანთარიას სარდაფში რატომ „აღმოჩნდა“ იარაღი?***

– კახა იგორ გიორგაძის სპეცდანიშნულების რაზმის წევრი იყო და, ალბათ, ამიტომ შეარჩიეს. მაშინ ეს იარაღი დიდი ამბით აჩვენეს მთელ საქართველოს და ახლა სწორედ ეს იარაღი დასვამს მათ განსასჯელის სკამზე.

როგორც უკვე გითხარით, მე ხელთ მაქვს 2 დოკუმენტი, სადაც ძალიან საინტერესო რამე აღმოვაჩინეთ. ირკვევა, რომ ირაკლი ბათიაშვილისა და ჩვენს საქმეზე ერთი და იგივე იარაღია ამოღებული.

***– ეგ რანაირად? ის 29 ივლისს დააკავეს, თქვენ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დაგაპატიმრეს.***

– ჩვენ 38 დღის შემდეგ დაგვაკავეს. ჩვენს საქმეზე ამოღებული იარაღის ნუმერაცია ბათიაშვილის საქმეში არსებული იარაღის ნუმერაციას ემთხვევა. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა – თუ ხელისუფლებამ ეს იარაღი კოდორიდან ამოიღო, რანაირად შეიძლებოდა, ის ჩვენს ხელში აღმოჩენილიყო, ამ იარაღს ხომ სახელმწიფო ინახავდა?

მარტო ეს ინფორმაცია ადასტურებს იმას, რომ ეს იარაღი ჩადებულია. მე უკვე ხელთ მაქვს ინფორმაცია, თუ ვინ ჩადო ეს იარაღი. ამ მონაცემებს აუცილებლად გადავცემ მთავარ პროკურატურას.

***– ზაზა, იარაღების ნუმერაციის დამთხვევის შესახებ ადრე არ იცოდით?***

– არა. ეს ცოტა ხნის წინ დაადგინა ადვოკატმა ელოშვილმა. ეს ფაქტი ჩვენს საქმეს ყირაზე დააყენებს და მთელი ქვეყანა დაინახავს ნაციონალების ნამდვილ სახეს. ამ საქმეში დიდ როლს შეიტანს მაია ნიკოლეიშვილის ჩვენება.

***– იმ მაია ნიკოლეიშვილის, რომელმაც 2006 წელს თქვენ წინააღმდეგ მისცა ჩვენება?***

– დიახ, მისი ჩვენებაა. მე ცოტა ხნის წინ პირადად შევხვდი და ვესაუბრე ქალბატონ მაიას.

***– მის მიმართ პრეტენზიები აღარ გაქვთ?***

– მასთან ძალიან დაძაბული ურთიერთობა მქონდა. ამ მხრივ არც ახლა შეცვლილა რამე. ამის მიუხედავად, გავედი მასთან კონტაქტზე და გარკვეული კითხვები დავუსვი. ჩემდა გასაკვირად, მან წარმომიდგინა დოკუმენტი, რომელიც 2012 წლით თარიღდება.

***– რა დოკუმენტია?***



– მაია ნიკოლეიშვილი მიმართავს მაშინდელ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს და გამოძიების დაწყებას ითხოვს.

***– რასთან დაკავშირებით ითხოვდა გამოძიებას?***

– ზეწოლის ფაქტებზე, რის შედეგადაც ის იძულებული გახდა, სასამართლოსთვის მიეცა ცრუ ჩვენება, თითქოს ჩვენ შეიარაღებულ გადატრიალებას ვამზადებდით.

პრაქტიკულად, გამოკვეთილია ადამიანი, რომელიც აფიქსირებს, რომ ჩვენება, რომელიც მან სასამართლოს მისცა, უკანონო გზებით იყო მოპოვებული და ის იყო ძალადობის მსხვერპლი.

მაია ნიკოლაიშვილზე მუშაობდა კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე, რომელსაც საზოგადოება მასტერას მეტსახელით იცნობს. ეს უკანასკნელი სხვა დანაშაულის ჩადენაშიც არის ეჭვმიტანილი.

***– რა დანაშაულზე საუბრობთ?***

– ადამიანებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა, რათა მათგან სასურველი ჩვენება მიეღო.

***– მაია ნიკოლეიშვილს რით დაემუქრნენ?***

– შვილის ლიკვიდაციით.

***– მისი შვილი თბილისში იყო იმ დროს?***

– არა, მოსკოვში იმყოფებოდა. მასტერამ ქალბატონ მაიას უთხრა, რომ თუ ის ცრუ ჩვენებას არ მისცემდა, მის შვილს საფრთხე შეექმნებოდა, რომ მისი შვილის სიცოცხლე მათ ხელში იყო. ამ ეტაპზე მაია ნიკოლეიშვილის სისუსტის გამოვლინებაზე საუბარი არ მსურს.

ჩვენც დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ვიყავით, მაგრამ ცრუ ჩვენება არ მიგვიცია. შესაძლოა, ქალბატონ მაიაზე უფრო მძლავრად განხორციელდა ზეწოლა. ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა შეისწავლოს.

***– არჩილ კბილაშვილმა არ დაიწყო ამ საქმის შესწავლა?***

– ეს ხელისუფლება მოვიდა სამართლიანობის აღდგენის პირობით. პარადოქსია, რომ კბილაშვილმა მაია ნიკოლეიშვილის განცხადების შესწავლა არ დაიწყო. არადა, ამ ჩვენებაში კონკრეტული დანაშაულებია გამოკვეთილი, დასახელებულია კონკრეტული პიროვნებები.

ამას ემატება იარაღის ნუმერაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები. პროკურატურის წინ, ფაქტობრივად, გადაშლილი წიგნი დევს და ახლა მათ უნდა გამოიძიონ ხელახლა საქმე, რომელიც დაამტკიცებს, რომ რუსეთის დავალებით ჩვენ კი არა, ნაციონალები მოქმედებდნენ. ჩვენი დაკავებითა და სპექტაკლის დადგმით სააკაშვილმა თავისი ამერიკელი პატრონებიც მოატყუა.

***– რაში სჭირდებოდა მას ამერიკელების მოტყუება?***

– უმტკიცებდა, თითქოს მას რუსეთი ებრძოდა. სინამდვილეში ის რუსეთის დავალებას ასრულებდა. სწორედ ამიტომ დაარქვა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი. ეს მხარე არასდროს ყოფილა აფხაზეთი. სააკაშვილმა სახელი იმიტომ შეუცვალა, რომ იოლად გადაეცა ის რუსებისთვის.

ამ მიზნით აღადგინა სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი და მისი საზღვრებიც კი შეცვალა, მიუერთა რა მას ახალგორი. აგვისტოს ომის შემდეგ ორივე მხარე რუსებს გადაულოცა.

ის რუსეთთან ფარულ გარიგებაში იყო. ეს რომ არ გამჟღავნებულიყო, სხვადასხვა სპექტაკლს დგამდა, დასავლეთს აჩვენებდა, თითქოს აქ მას პრორუსული ძალები ებრძოდნენ. ჩვენი დაკავება ახალგორისა და კოდორის ჩაბარებასთან არის კავშირში.

***– რა კავშირშია?***

– პირდაპირ კავშირშია. ჩვენი დაკავებით მან შექმნა მითი, რომ ის კრემლის წინააღმდეგ იბრძოდა, დააჯერა ამაში დასავლეთი და ჩვენი ტერიტორიები მოსკოვს გადაულოცა. აი, ამის შესაფუთად გამოიყენა.

დღეს ის თამაშობს რუსეთის დაუძინებელ მტერს, სინამდვილეში, რუსეთთან არის გარიგებული და იმ დავალებებს ასრულებს, რომლებიც მოსკოვიდან მოდის. ამის ნათელი დადასტურებაა უკრაინა, სადაც ის ისევე იქცევა, როგორც საქართველოში – ამ ქვეყანას ტერიტორიები უკვე დააკარგვინა.

ამ ამბავში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ყირიმის დაპყრობა. ისევე, როგორც კოდორის ასაღებად, ყირიმის დასაპყრობადაც რუსეთს ერთი ტყვიაც კი არ გაუსვრია.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ყირიმის გადაბარებაშიც სააკაშვილი მონაწილეობდა?***

– ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სააკაშვილს არაფერი ჰკითხეს და ამაზე რუსეთი და ამერიკა გაურიგდნენ ერთმანეთს.

***– სააკაშვილი გასაგებია, მაგრამ თქვენ როგორ აღმოჩნდით იგორ გიორგაძის კოალიციაში?***

– ეს იყო კოალიცია ანტისოროსი. ჩვენ სოროსის წინააღმდეგ გამოვდიოდით. იქ ბევრი ღირსეული ხალხი იყო, მათ შორის ელიზბარ ჯაველიძე და გურამ შარაძე.

***– თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილი რუსეთის დავალებებს ასრულებდა. ასეთ შემთხვევაში რატომ მიიტანა მან იერიში იგორ გიორგაძის ხალხზე? იგორ გიორგაძე ხომ რუსეთის ხელისუფლების მფარველობაშია.***

– ეს ცოტა უფრო ღრმა შესწავლის საკითხია. რუსეთის პოლიტიკურ სამზარეულოში კარგად ვერ ვერკვევი და არ ვიცი, რატომ გაერია ამ საქმეში გიორგაძე. სააკაშვილის ხელისუფლება ხმამაღლა ამბობდა, რომ ამ გადატრიალების მცდელობის უკან იდგა გიორგაძე, თუმცა ამ საქმეზე მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

***– თქვენი აზრით, რატომ არ წაუყენეს?***

– ვერ გაბედეს ან სათანადოდ ვერ მოამზადეს.

***– ისე, აპირებდა რამის მოწყობას უშიშროების ექსმინისტრი?***

– ამ საქმეში გიორგაძე ისევე ცამდე მართალია, როგორც ჩვენ. კიდევ გიმეორებთ, რომ არავინ აპირებდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ნეტავი დამეპირებინა რამის მოწყობა, ამით ვიამაყებდი.

***– რით იამაყებდით, გადატრიალებას რომ აწყობდით?***

– ამაყი ვიქნებოდი, მართლა რამე რომ მომეწყო. ამაყად ვიტყოდი, დიახ, ჩვენ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალებას.

***– სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა რატომ უნდა იყოს საამაყო?***

– ეს იქნებოდა არა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქცია, არამედ ქვეყანას ტირანს მოვაშორებდით. სამწუხაროდ, არაფერი მოგვიმზადებია. კახა ქანთარიას სარდაფში იარაღი კუდის სპეცრაზმმა მიიტანა. ამის დამამტკიცებელ დოკუმენტებს პროკურატურას უახლოეს მომავალში მივაწვდი.

***– ზემოთ თქვით, რომ პროკურატურა მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით არ დაინტერესდა. თქვენი განცხადებით დაინტერესდებიან?***

– თუ ამ ხელისუფლებას დამნაშავე რეჟიმისთვის ნიღბის ჩამოხსნა სურს, დაინტერესდებიან, თან ისეთი დოკუმენტების გადაცემას ვაპირებ, რომლითაც ძალიან მალე გაირკვევა ყველაფერი. დადგინდება, რომ რუსეთის დავალებებს საქართველოში სააკაშვილი ასრულებდა.

ჩვენი საქმის ხელახალი გამოძიება კიდევ ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. ბევრი მაღალი თანამდებობის პირი დაემშვიდობება სავარძელს, ბევრსაც ციხეში მოუწევს წასვლა, ნაციონალები კი სამუდამოდ დადუმდებიან და კრემლის აგენტს ვერავის დაუძახებენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65. 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსეთი უკრაინაზე გადამწყვეტ დარტყმას ამზადებს


დონბასში ბრძოლები არ წყდება


მარჩუკი

როგორც მოსალოდნელი იყო, მინსკის მორიგი შეხვედრა უშედეგო გამოდგა. დონბასში ბრძოლები არ ცხრება. სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები ყოველმხრივ ცდილობენ, უკრაინელები დონეცკის გარეუბნებიდან (პესკი, მარინკა, ავდეევკა) განდევნონ. „გრადებით" ბომბარდირებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რასაც არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.

– დონბასში სიტუაციის გართულებას თან სდევდა პროვოკაციები იმიერკარპატისპირეთში, – იტყობინება მე-5 არხი.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, ესაა პრელუდია. დიდი მოვლენების წინ რუსეთი უკრაინაზე გადამწყვეტ დარტყმას ამზადებს.

## პროვოკაცია იმიერკარპატისპირეთში

დონბასში მტერმა წინ წაწევა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, საშიში ვითარება შეიქმნა იმერკარპატისპირეთში. უკრაინულ მედიაში სენსაციური ინფორმაცია გამოჩნდა: იმიერკარპატისპირეთში მომხდარი არეულობა როგორც უნგრული, ისე რუსული სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის შედეგიაო. ჟურნალისტებმა კონკრეტული ფაქტებიც მოიყვანეს, რაც ამ მოსაზრების სიმართლეს ადასტურებდა. მართლაც, როგორც კი უკრაინელი ჯარისკაცები იმიერკარპატისპირეთში შევიდნენ, სოციალური ქსელებით იქაური სეპარატისტების ლიდერ გეცკოს მოწოდებები გავრცელდა. მან მოსახლეობას, არც მეტი არც ნაკლები, შეიარაღებული წინააღმდეგობისაკენ მოუწოდა:

– უნგრეთის არმია იმიერკარპატისპირეთისაკენ დაიძრა! ევროკავშირმა ბუდაპეშტს მისცა მანდატი, რათა თავისი თანამოძმეები დაიცვას! უნგრული სპეცნაზი უკვე იმიერკარპატისპირეთშია! ხალხო, აღდექით და უკრაინელი ფაშისტები გაყარეთ!

მოსახლეობამ სეპარატისტებს მხარი არ დაუჭირა. ხალხმა ისინი სტვენითა და ცემა-ტყეპით გააძევა. ამის შემდეგ ულტრარადიკალები უნგრეთში ისტერიკულ კამპანიას იწყებენ: აქაოდა, იმიერკარპატისპირეთში ბანდერელები ჩვენს თანამოძმე უნგრელებს სცემენ და მათ დასაცავად იქ უნგრეთის არმია უნდა შევიყვანოთო.

– რუსეთი შეეცადა, უკრაინა-უნგრეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება მოეხდინა და იმიერკარპატისპირეთში მეორე ფრონტი გაეხსნა, – იტყობინება 112-ე არხი.

როგორც ჩანს, უნგრეთის მთავრობაში მართლაც არსებობს დაჯგუფება, რომელიც შოვინისტური ილუზიების ტყვეობაშია და იმიერკარპატისპირეთის ანექსიაზე ოცნებობს. ამაზე მიუთითებს ის, რომ უნგრეთის დაზვერვა რუსებთან ერთად რეგიონში წყლის ამღვრევას მართლაც ცდილობდა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით უნგრელებს ოფიციალური პროტესტი განუცხადა. უჟგოროდში (იმიერკარპატისპირეთის მთავარ ქალაქში) აშშ-ის ელჩის ჩასვლამ ვითარება მნიშვნელოვნად განმუხტა. ახალი ფრონტიც ვერ გაიხსნა.

## შეხვედრა მინსკში

ამრიგად, კრემლს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. რუსებიც მინსკში უჩვეულოდ დამთმობნი ჩანდნენ, თუმცა ბელორუსის დედაქალაქში „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების" ხელმძღვანელები არ ჩავიდნენ. აქ მათი სრულუფლებიანი ემისრები პუშილინი და დაინეგო იყვნენ.

– ის ფაქტი, რომ მინსკში სეპარატისტების ლიდერები არ ჩავიდნენ, ცალსახად მიუთითებს ერთზე: მოსკოვი არ აპირებს მიღწეულ შეთანხმებათა შესრულებას. დონბასელი სეპარატისტები ხომ მოსკოვის დავალებას ასრულებენ, – იტყობინება 112-ე არხი.

სეპარატისტებმა ფრონტის ხაზიდან მძიმე ტექნიკისა და ჯარის გაყვანაზე თანხმობა განაცხადეს. მიღწეულ იქნა შეთანხმება როგორც შიროკინოს, ისე დონეცკის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიის დემილიტარიზაციაზე, თუმცა არავითარ ხელშეკრულებაზე ხელი არ იქნა მოწერილი. ამას გარდა, არ დაკონკრეტებულა, როგორ უნდა განხორციელდეს დემილიტარიზაცია.

– – მინსკში მართლა დადებითი სიგნალები დაფიქსირდა, თუმცა ისმის კითხვა: რამდენად რეალურია დღეს ამისი განხორციელება? – კითხულობს უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი ევგენი მარჩუკი.

## პროვოკაციები არ წყდება

მინსკში შეხვედრის შემდეგ დონბასში პროვოკაციები გაძლიერდა. უკრაინის ანტიტერორისტული შტაბის ცნობით, გასული დღე-ღამის განმავლობაში სეპარატისტებმა უკრაინულ ფორმირებებს ცეცხლი 80-ჯერ გაუხსნეს. უკრაინელ სამხედროებს შორის არიან დაჭრილები. დიდია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. მარინკას „გრადებით" ბომბარდირებისას ჩამოინგრა საავადმყოფო, დაიღუპნენ როგორც ექიმები, ასევე პაციენტები, მათ შორს ბავშვები. სოფელ ოპიტნოეს „გრადებით დაუთოების" შედეგად დაიღუპნენ ქალი და პატარა გოგონა. ავდეევკაში დანგრეულია სახლები, დაღუპულია სამ ბავშვი და ოთხი ქალი.

– სეპარატისტები და რუსები პროვოკაციებს არ წყვეტენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

ამრიგად, მინსკის შეხვედრის შემდეგ პროვოკაციების ინტენსიურობა არ შემცირებულა და ეს შემთხვევით არ ხდება.

## რუსეთი გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადება

მინსკის შეთანხმებები (მინსკი-2), რომლებიც დონბასიდან ყველა უცხოური ფორმირების გაყვანასა და რეგიონზე უკრაინის კონტროლის აღდგენას ითვალისწინებს, რუსეთისათვის მიუღებელია. მოსკოვიც ცდილობს მათ ჩაშლასა და ახალი შეთანხმებების მიღწევას, რომელიც უკვე რუსეთ-უკრაინას შორის ბუფერული სახელმწიფოს შექმნას (ამა თუ იმ ფორმით) დააფიქსირებს. ამერიკელი ექსპერტების აზრით, მოსკოვში აცნობიერებენ, რომ ცალმხრივად უკრაინის საზღვრების გადასინჯვა შეუძლებელია. აუცილებელია სათანადო საერთაშორისო გარემოს შექმნა. კრემლიც ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს და გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადება. სავარაუდოდ, მოსკოვი შემდეგი სქემით იმოქმედებს: ესკალაცია დონბასში, რაშიც უკრაინელებს დაადანაშაულებენ, შემდეგ კი – სამხედრო ინტერვენცია. ესკალაციის მიღწევა სრულიად მარტივად შეიძლება. ავდეევკის, პესკისა თუ მარინკის ინტენსიურ დაბომბვებს ბოლო არ უჩანს. ეს კი უკრაინელებს არჩევანის წინაშე აყენებს: ან იქაურობა დატოვონ, ან ინტენსიური საპასუხო ცეცხლი გახსნან. ეს სეპარატისტებს განადგურების საფრთხის წინაშე დააყენებს. რუსეთიც უკრაინელებს ესკალაციაში დაადანაშაულებს, დონბასში დამატებით კონტინგენტს შეიყვანს, აქაოდა, რუსულენოვანი მოსახლეობა უნდა დავიცვაო. ამერიკელ ექსპერტ ედვარ ვეკერის აზრით, რუსეთი მხოლოდ დონეცკ-ლუგანსკის გარეუბნებიდან უკრაინული ფორმირებების განდევნით დაკმაყოფილდება. სხვა სპეციალისტები ამ აზრს არ იზიარებენ.

– სად გაჩერდება რუსული არმია, ეს არავინ იცის: ფაქტია, რომ პუტინი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი უკრაინული ტერიტორია დაისაკუთროს, – ამბობს ჯონ მაკეინი.

უკრაინის უშიშროების სამსახურის დასკვნით, უახლოეს ხანებში მოსალოდნელია სეპარატისტების გააქტიურება ზაპოროჟიეში, ხარკოვში, ნიკოლაევში, ოდესაში. პარალელურად დაგეგმილია უკრაინის ხელისუფლებასა და „მემარჯვენე სექტორს" შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება. ეს უნდა გავრცელდეს კიევზე, ლვოვზე, როვნოზე, ტერნოპოლზე ანუ უკრაინის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებზე. ამრიგად, იქმნება ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის აზვირთების საფრთხე. პუტინი დარწმუნებულია, რომ ასეთ ვითარებაში დასავლეთი (როგორც აშშ, ისე ევროპა) უკრაინული პრობლემის მოგვარებას უკვე რუსეთთან ერთად შეეცდება. ასე შეიქმნება სრულიად ახალი საერთაშორისო სიტუაცია, როცა დემოკრატიული სამყარო რუსული აგრესიის დაგმობის ნაცვლად მოსკოვთან თანამშრომლობას დაიწყებს და მასთან ერთად უკრაინაში მშვიდობის აღდგენას შეეცდება. შედეგად დასავლეთი (ამა თუ იმ ფორმით) რუსეთ-უკრაინას შორის ბუფერული სახელმწიფოს


დანგრეული ავდეევკა



შექმნას უნდა დაყაბულდეს. რაც შეეხება რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს, ისინი ნელნელა უნდა შესუსტდნენ, შემდეგ კი გაქრნენ. ასეთია კრემლის გეგმა.

ვაშინგტონში რუსეთის აგრესიული გეგმების შესახებ კარგად არიან ინფორმირებული. მიუხედავად ამისა, ობამას ადმინისტრაცია (კონგრესისაგან განსხვავებით) საბრძოლველად ნამდვილად არ არის განწყობილი. ამან უკრაინელთა სტრატეგიაც განსაზღვრა:

– მინსკის შეთანხმებები იდეალური როდია, მაგრამ ახლა მათი შესრულების მიღწევა ჩვენთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, – ამბობს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ჰანა გოპკო.

რუსეთი კი დარტყმისათვის ემზადება.

**ნიკა თევზაძე**



# აშშ-ის სპეცსამსახურმა ალ-ქაიდას ერთ-ერთი ლიდერის ლიკვიდაცია განახორციელა

აშშ-ის დაზვერვამ სირიის ტერიტორიაზე ალ-ქაიდას ერთ-ერთ ლიდერ ალ-ფათხის ლიკვიდაცია განახორციელა. ოპერაცია სირიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქალაქ ალეპოსთან ჩატარდა.

– მანქანა, რომელშიც ალ-ფათხი იჯდა, ჰაერიდან დაბომბეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

ალ-ფათხი სათავეში ედგა დაჯგუფება „ხორასანს", რომელიც ალ-ქაიდას ერთ-ერთი ნაწილი იყო. მის ანგარიშზეა 184-მდე ტერაქტი.

**მომზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სიახლე!!! 3-კომპონენტიანი კუპაჟი – გასახდომი ყავა!!! ანტიდიაბეტური ეფექტით! 750 მლ-იან ქილაში, 40-45 დღის – 15 ლარი. მის: თამარ მეფის 27. ტელ: 558-59-59-82.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრებებით: „პლანტა"-ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), „პლანტა-გლანდა"-ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა. „პლანტა+"-კისტა, ფიბრომა, მომატებული პროლაქტინი... კენჭოვანი დაავადებები, პროსტატიტი, ადენომა, კოლიტი, შაკიკი. ტელ: 259-59-82, 558-59-59-82. ენვერი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1 კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ქალთა ნაკრებმა მზადება დაიწყო

ზუგდიდში, „ბაიას“ საწვრთნელ ბაზაზე, ქალთა 19-წლამდე ნაკრები შეკრებას გადის. ქართველ 19-წლამდელებს 15-20 სექტემბრის ჩათვლით საბერძნეთში ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში მოუწევთ ასპარეზობა.

ჩვენი გოგონების მეტოქეები შვეიცარიის, ისლანდიისა და მასპინძელი საბერძნეთის გუნდები არიან.

ასაკობრივი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გერონტი ნაჭყებიამ შეკრებაზე 24 ფეხბურთელი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან გამოიძახა. ზუგდიდის შეკრებაზე გამოძახებულთა შორის კიდევ 17-წლამდე ნაკრებისა და სულ ცოტა ხნის წინ დასრულებული სკოლბურთის დროს შერჩეული ახალწვეულებიც არიან.

გოგონათა შეკრებას თვალს ადევნებს საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ კოსტავა.

19-წლამდელების ევროპის ჩემპიონატი სამ ეტაპად ტარდება: შესარჩევი, ელიტრაუნდი და ფინალური ეტაპი. საკვალიფიკაციო (შესარჩევი) ეტაპიდან ელიტრაუნდში 11 ჯგუფურ ტურნირში გამარჯვებული 11 გუნდი და 10 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა, რომლებსაც დაემატება რეიტინგების სამი ლიდერი – გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი.

ელიტრაუნდი 2016 წლის აპრილში გაიმართება, სადაც ექვსი 4-4-გუნდიანი ჯგუფიდან გამოავლენს საუკეთესოებს, რომლებიც უკვე ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. ფინალში ელიტრაუნდის 6 საუკეთესოს კიდევ ერთი, ელიტრაუნდში საუკეთესო მეორე ადგილზე გასული გუნდი და ერთიც მასპინძელი ქვეყნის ნაკრები დაემატება. 19-წლამდე ქალთა შორის ევროპის 2016 წლის ჩემპიონატი სლოვაკეთში ჩატარდება.

ისევე, როგორც მამაკაცთა შორის, ქალებშიც გერმანული ფეხბურთი დომინანტია ევროპაში, განურჩევლად ასაკობრივი ჯგუფებისა. ქალთა შორის ევროპის სარბიელზე, რომელიც სათავეს ოფიციალურად 2002 წლიდან იღებს, გერმანელები 4-ჯერ (2002, 2006, 2007, 2011) გახდნენ ჩემპიონები. ამ ასაკობრივ ჯგუფში ევროპის ჩემპიონის ტიტული 3-ჯერ (2003, 2010, 2013) საფრანგეთის ნაკრებს აქვს მოგებული, თუმცა, თუკი ისრაელში მიმდინარე ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატზე ფრანგები წარმატებას მიაღწევენ, რამდენიმე დღეში ეს ბალანსი, შესაძლოა, შეიცვალოს.

## შედეგები

**22 ივლისი**

**ფეხბურთი**

**კონკაკაფის ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| აშშ-იამაიკა | 1:2 |
| პანამა-მექსიკა | 1:2(დდ) |

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ასტანა-მარიბორი | 3:1 |
| ფოლა-დინამო(ზ) | 0:3 |
| ვიდეოტონი-ტნს | 1:1 (დდ) |
| სტიაუა-ტრენჩინი | 2:3 |
| დანდალკი-ბატე | 0:0 |
| ლეხი-სარაევო | 1:0 |
| რუდარი-ყარაბახი | 0:1 |
| სტიარნარი-სელტიკი | 1:4 |

# ხელოვნური თვალის გადანერგვით პაციენტს მხედველობა დაუბრუნეს

დიდ ბრიტანეთში, მანჩესტერის სამეფო საავადმყოფოში, ქირურგებმა მედიცინის ისტორიაში პირველად, პაციენტისთვის ხელოვნური თვალის გადანერგვა შეძლეს.

ოთხსაათიანი ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა.

89 წლის ბრიტანელი პაციენტი, რომელსაც ხელოვნური თვალი აქვს, ახლა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მას მხედველობის სწრაფი ტემპით აღდგენა აღენიშნება.

– მოხუცმა სიბრმავეზე ტექნოლოგიების დახმარებით გაიმარჯვა, – განაცხადა მედიასთან პაციენტის ქირურგმა.

ხელოვნური თვალი – ბიოლოგიური იმპლანტია, რომელიც სპეციალურ სათვალეში გამოსახულებას ჩაშენებული მინიატურული კამერით იღებს. მიღებული ინფორმაცია ელექტროიმპულსებად გარდაიქმნება და ელექტროდებს (გამტარებს) მიწოდება, რომლებიც ბადურაზეა განთავსებული.

**ნიუსპრესი**

# ესპანეთში 14 წლის ასაკიდან ქორწინება აიკრძალა

ესპანეთში მინიმალურ საქორწინო ასაკად 16 წელი განისაზღვრა. ახალი საკანონმდებლო რეგულაციის დაწესებამდე გოგონებსა და ბიჭებს ურთიერთობის დაკანონება, სასამართლოს ნებართვით, 14 წლის ასაკიდან შეეძლოთ.

კანონმდებელთა გადაწყვეტილებამ გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბავშვთა უფლებების დამცველი ადგილობრივი ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ყველაზე დაბალი საქორწინო ასაკი ევროპის ქვეყნებს შორის ესპანეთს ჰქონდა დადგენილი. სტატისტიკური მონაცემებით, 2000-2014 წლებში 16 წლამდე ქორწინების 365 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, 2014 წელს კი მხოლოდ 5-ს. ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდი იყო რამდენიმე ათეული წლის წინ. მაგალითად, 1980-იან წლებში 16 წლამდე ქორწინების თითქმის 13 ათასი, ხოლო 1990-იან წლებში 3 ათასამდე შემთხვევა დაფიქსირდა.

საქორწინო ასაკთან დაკავშირებით კატალონიის სტატისტიკურმა ინსტიტუტმა რეგიონში კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგებით, საშუალო ასაკი, როდესაც მამაკაცები ქორწინდებიან 33 წელია, ქალებისთვის – 32. ათი წლის წინ მამაკაცები საშუალოდ 30 წლის ასაკში ქორწინდებოდნენ, ქალაქები კი – 28 წლის ასაკში.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ძარცვა დაკოტაში




ამერიკის შტატ სამხრეთ დაკოტაში მამაკაცმა მაღაზიაში მყიდველს მუქარის ძალით წაართვა სწრაფი მომზადების ცომის ნაჭრების შეკვრა.

დაზარალებულმა გაბრიელ ჯენისმა შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს განუცხადა, რომ ის ღამით მაღაზიიდან გამოდიოდა, ხელში პლასტმასის ჭიქა ეჭირა, რომლიდანაც დაჭრილი ცომის ნაჭრებს მიირთმევდა. ამ დროს მასთან ზურგის მხრიდან მამაკაცი მივიდა და თავში მსხვილი ჯაჭვის ჩარტყმის მუქარით საჭმელი მოსთხოვა. ჯენისმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მაღაზიაში შებრუნდა, რათა 911-ზე დაერეკა.

პოლიციამ მალევე დააკავა ეჭვმიტანილი, რომელიც დანაშაულის ადგილიდან ერთი კვარტალის დაშორებით იმყოფებოდა. 27 წლის ლერიატ სონი კამზი წართმეულ საკვებს მიირთმევდა, როდესაც ის სამართალდამცავებმა შენიშნეს. მას ასევე თან ჰქონდა ჯაჭვიც.

მამაკაცი ამჟამად დაპატიმრებულია და მას გასათავისუფლებლად გირაოს სახით 2.5 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა. აღსანიშნავია, რომ დაჭრილი ცომის ნაჭრები აშშ-ში 3 შეკვრა 1 დოლარი ღირს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „სამტრედიას“ მარცხი, „კოლხეთს“ მოგება

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „სამტრედიამ“ ამხანაგური მატჩი ქალაქ ერზრუმში თურქეთის პირველი ლიგის წარმომადგენელ „გოზტეპესთან“ გამართა და 0:1 დამარცხდა.

„სამტრედიამ“ პირველ ტაიმში შემდეგ შემადგენლობით ითამაშა: თებიძე, იოსელიანი, შერგელაშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, ენდელაძე, დათუნაიშვილი, სიხარულიძე, ზივზივაძე.

მეორე ტაიმში გია ცეცაძემ 9 ცვლილება გააკეთა და თამაშში შემდეგი ფეხბურთელები ჩართო: ცინცაძე, თვალავაძე, მთივლიშვილი, მჭედლიშვილი, ახალაძე, ჭეიშვილი, კიკაბიძე, შილაკაძე, კვარაცხელია.

შეგახსენებთ, „სამტრედია“ ქალაქ ერზრუმში სამკვირიან შეკრებაზე იმყოფება. იმერული კლუბი სამშობლოში 5 აგვისტროს დაბრუნდება, თურქული შეკრების ფარგლებში კი 4 ამხანაგური მატჩის გამართვა იგეგმება.

საფეხბურთო კლუბმა ფოთის „კოლხეთმა“ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სეზონის განახლებამდე მორიგი ამხანაგური მატჩი თერჯოლის „საპოვნელასთან“ ჩაატარა და 1:0 გაიმარჯვა.

მატჩში ერთადერთი გოლი კალაჯიშვილმა 32-ე წუთზე გაიტანა.

პორტუგალიელი თავდამსხმელი ლუის ალბერტო ვიეირა მედინა, რომელიც გასულ სეზონში ბოლნისის „სიონის“ ღირსებას იცავდა, ამიერიდან ბათუმის „დინამოში“ ითამაშებს.

აჭარულ კლუბსა და 23 წლის ფეხბურთელს შორის კონტრაქტი, რომელიც ერთი სეზონით განისაზღვრა, უკვე ძალაში შევიდა.

შეგახსენებთ, რომ ლუის ალბერტომ ბოლნისელთა რიგებში გასულ სეზონში ჩატარებულ 12 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

მედინა მადრიდის „ატლეტიკოს“ სკოლის აღზრდილია. გარდა ამისა, ის პორტუგალიასა და ესპანეთში სხვადასხვა ლიგის გუნდებში ასპარეზობდა.

# „ბარსელონა“ შემადგენლობას შეინარჩუნებს




„ბარსელონის“ პრეზიდენტმა ხოსეპ მარია ბართომეუმ პედრო როდრიგესის სხვა კლუბში შესაძლო გადასვლაზე კომენტარი გააკეთა. მან ეს ინფორმაცია უარყო.

**ხოსეპ მარია ბართომეუ:**

– ჩვენ არც ერთი ფეხბურთელის, მათ შორის არც პედრო როდრიგესის შესახებ რაიმე შემოთავაზება არ მიგვიღია. შემიძლია, კიდევ ერთხელ გაგიმეოროთ ის, რაც ლუის ენრიკემ მითხრა: თუ ვინმეს სურს, შეიძინოს ჩვენი ფეხბურთელები, მათ უნდა გადაიხადონ ის თანხა, რომელიც კონტრაქტშია მითითებული. არავის გაუკეთებია რაიმე შემოთავაზება, ასე რომ, მშვიდად ვართ.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 27 წლის ესპანელი თავდამსხმელის სამსახურით დაინტერესებულნი არიან „ჩელსი“, „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომლებიც 30 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ჯენიფერ ლოპესს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება



მაროკოში, მომღერალ ჯენიფერ ლოპესის წინააღმდეგ, მის მიერ წინა თვეში ჩატარებული კონცერტის გამო, ჩრდილოეთ აფრიკის „საგანმანათლებლო ჯგუფმა“ სარჩელი შეიტანა.

მათი განცხადებით, „ჯეილომ“, 29 მაისის პერფორმანსით, ქალთა უფლებები შელახა.

ისინი აცხადებენ, რომ მომღერლის კონცერტი, რომელიც ტელევიზიით გადაიცა და 2 მილიონმა ადამიანმა ნახა, სექსიზმის (ინდივიდუალური მიკერძოებული განწყობები და დისკრიმინაციული ქცევა ამა თუ იმ სქესის წარმომადგენელთა მიმართ) შემცველი იყო.

შოუს დროს, „ჯეილომ“ რუტინული ცეკვა და სიმღერა შეასრულა. მისი კოსტუმიც, როგორც ყოველთვის საკმაოდ გამომწვევი იყო.

პერფორმანსმა მაროკოს პრემიერ-მინისტრის აბდელილა ბენკირანის ყურადღებაც მიიპყრო. მან კონცერტის გამოძიების ბრძანება გასცა და განაცხადა, რომ მასში უამრავი სამარცხვინო სცენა იყო.

მისივე თქმით, ტელევიზიებმა გადასცეს ეს კონცერტი, რომელშიც მაროკოს მცხოვრებლებისთვის მორალური და რელიგიური შეხედულებების საწინააღმდეგო ეპიზოდები იყო.

მომღერლის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სარჩელში ნათქვამია, რომ ჯენიფერ ლოპესის კონცერტმა საზოგადოებრივი წესრიგი შეარყია.

თუ ლოპესი სასამართლომ დამნაშავედ სცნო, მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**ნიუსპრესი**

# შარლიზ ტერონმა ბარაკ ობამა სტრიპტიზკლუბში დაპატიჟა



მსახიობმა და მოდელმა შარლიზ ტერონმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა სტრიპტიზკლუბში დაპატიჟა.

ამის შესახებ მსახიობმა „ეი ბი სის“ პირდაპირ ეთერში თავად მოყვა.

ტერონის თქმით, როდესაც ის ობამას შეხვდა ძალიან ნერვიულობდა და სტრიპტიზკლუბში გაუაზრებლად მიიწვია.

მსახიობი აშშ-ის პრეზიენტს მარტში, ერთ-ერთი თოქ-შოუს მსვლელობის დროს კადრს მიღმა შეხვდა. ობამამ მას უთხრა, რომ ახალგაზრდებთან მეტად დაახლოება სურდა.

– თუ გინდათ, რომ ახალგაზრდებთან იყოთ ახლოს, სტრიპტიზ კლუბს ეწვიეთ, – უთხრა ობამას ტერონმა.

მსახიობის განცხადებით, ამ წინადადების თქმის შემდეგ, ყოველკვირეულად მოულოდნელად ახსენდებოდა მისი ქმედება და არ სჯეროდა საკუთარი თავის.

– მოულოდნელად გამახსენდებოდა რა ჩავიდინე და პანიკაში ვვარდებოდი: ღმერთო მე ეს ვთქვი, მართლა ვუთხარი. მიშელ ობამა (ბარაკ ობამას მეუღლე) მომკლავს, – აღნიშნა თოქ-შოუში მსახიობმა.

შარლიზ ტერონის განცხადებით, ობამამ ძალიან კარგად გაუგო მას და მიხვდა, რომ ნერვიულობდა.

**ნიუსპრესი**

# მაკარტურთა საქველმოქმედო ფონდი რუსეთში საქმიანობას წყვეტს




უმსხვილესი ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაცია „მაკარტურთა ფონდი“ რუსეთში საქმიანობას წყვეტს. მიზეზი რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა გახდა.

– რუსეთი ჩამოყალიბდა პოლიციურ სახელმწიფოდ, სადაც ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა, – განაცხადა ფონდის თავმჯდომარე დევიდ სოლომონმა.

როგორც ცნობილია, რუსეთი ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას „უცხოეთის აგენტის“ დამამცირებელ იარლიყს ანიჭებს. მათ შორის მოხვდნენ „მემორიალი“, „მოძრაობა ადამიანის უფლებებისათვის,“ „აკადემიკოს სახაროვის მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოებრივი კომისია“ და ა.შ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ მოვუაროთ გამხდარ ბავშვს

## ნაღებისა და კარაქის ჭარბი მიღება ბავშვს არ ასუქებს?

სიგამხდრეს სხვადასხვა მიზეზი აქვს. ზოგიერთი ბავშვის სიგამხდრე მემკვიდრეობითია დედის, მამის ან ორივეს ნათესავები გამხდრები არიან. ისინი პატარაობიდანვე უზრუნველყოფილნი იყვნენ სრულფასოვანი და უხვი კვებით; არც ავადმყოფები არიან და არც ნერვიულები, უბრალოდ, არასდროს ჰქონიათ სურვილი, ბევრი ეჭამათ, მით უმეტეს, ზედმეტად კალორიული საკვები.

ზოგიერთი ბავშვი გამხდარია იმიტომ, რომ ჭამის გამო გამუდმებულმა ჩიჩინმა საბოლოოდ დაუკარგა მადა. ზოგ ბავშვს არ შეუძლია ჭამა ნერვული დაძაბულობის გამო. თუ შეძრწუნებული ბავშვი სიკვდილზე ან ჯადოქრობაზე ფიქრობს, თუ ბავშვს ეშინია, დედა სხვაგან არ წავიდეს და არ მიატოვოს, მაშინ შესაძლებელია, ჭამის მადა ძალიან დაუქვეითდეს. ამრიგად, ნერვული ბავშვის გახდომას ორი მიზეზი იწვევს: ნერვიულობა, ერთი მხრივ, აქვეითებს მის მადას, მეორე მხრივ, დიდძალ ენერგიას ხარჯავს.

ამ ქვეყანაზე ჯერ კიდევ ბევრი ისეთი ბავშვია, რომელიც ცუდად იკვებება საჭმლის ან უსახსრობის გამო. არსებობს ქრონიკული დაავადებები, რომლებიც იწვევენ საკვების ცუდ მონელებას. მაგრამ ავადმყოფობის დროს გამხდარი ბავშვები თავდაპირველ წონას სწრაფად აღიდგენენ, თუ, რასაკვირველია, გამოჯანმრთელებისას მათ ძალდატანებით არ აჭმევენ და მადის დამოუკიდებლად აღდგენას ელოდებიან.

❖❖❖

გამხდარი ბავშვი მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას მოითხოვს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის ადვილად ილლება, ძალიან გახდა ან წონაში ცოტა მოიმატა.

სიგამხდრე, დაღლილობა, წონაში ცუდი მატება უფრო ხშირად გამოწვეულია ემოციური განცდებით, ვიდრე ფიზიკური ავადმყოფობით. თუ თქვენი ბავშვი აღგზნებულია ან დეპრესიულ მდგომარეობაშია, კარგი იქნება, ბავშვის ფსიქიატრს ან მასწავლებელს მოელაპარაკოთ ყოველგვარი სულიერი მღელვარების შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, გადასინჯეთ ბავშვის ურთიერთდამოკიდებულება მშობლებთან, ახლობლებთან და სკოლასთან. თუ ბავშვს გამუდმებით ეჩხუბებიან ცუდი მადის გამო, გირჩევთ, ამგვარ დავიდარაბას თავი დაანებოთ.

ზოგიერთ გამხდარ ბავშვს ურჩევნია, ცოტ-ცოტა ჭამოს, ოღონდ ხშირად. ჯანმრთელ ბავშვს შესაძლოა კარგი მადა ჰქონდეს და მაინც გამხდარი იყოს. ჩვეულებრივ, ასეთ ბავშვს შედარებით მცირეკალორიული საკვები ურჩევნია, როგორიცაა: ხორცი, ბოსტნეული, ხილი და უარს ამბობს მაღალკალორიულ დესერტზე. მაგრამ ზოგ ბავშვს, მიუხედავად ამისა, მაინც უყვარს ნაღები და კარაქი. ფაფის გასაკეთებლად რძის მაგიერ შეიძლება იხმაროთ ნაღები. ცოტაოდენი ნაღები შეიძლება ჩაუმატოთ სუპ-პიურეშიც, მოხარშულ ბოსტნეულს ცოტა კარაქი დაუმატეთ, პურს კი კარაქი ბლომად წაუსვით.

ეს ცვლილებები თანდათანობით უნდა განხორციელდეს. საჭმლის მომნელებელი სისტემისათვის აუცილებელია დრო, რათა ცხიმის გადიდებულ ხმარებას შეეგუოს, მაგრამ, თუ ბავშვი უარს ამბობს ამგვარ ცვლილებებზე, ძალას ნუ დაატანთ – ამით მადა გაუუარესდება.

საჭმელში ნაღებისა და კარაქის დამატება ყოველთვის როდი მოქმედებს წონაზე. მთელი უბედურება კი ის არის, რომ ამგვარი ხერხი ყოველთვის აქვეითებს ბავშვის მადას.



ასე რომ, თქვენ არ გაწუხებთ რაიმე პრობლემა ბავშვის გამო, თუ ბავშვი დაბადებისთანავე გამხდარი იყო, მაგრამ ყოველ წელს შედარებით ნორმალურად იმატებს წონაში, სანერვიულო არაფერი გაქვთ. როგორც ჩანს, ასეთად ჩაიფიქრა იგი ბუნებამ.

### დამატებითი დასვენება

თუ ბავშვი გახდა, ნერვიულობს ან ჩვეულებრივზე მეტად ილლება, იქნებ საჭირო იყოს, ერთი ან ორი თვით დამატებით დაასვენოთ. მაგრამ ის, რაც ერთი ბავშვისთვის დასვენებაა, მეორესთვის შეიძლება საზიანო გამოდგეს. ამიტომ ანგარიში უნდა გაუწიოთ თქვენი ბავშვის სურვილებს. სასკოლო ასაკის ბავშვი, ალბათ, წინააღმდეგობას გაუწევს ნებისმიერ რეჟიმს, რომელიც დანარჩენი ბავშვების რეჟიმისაგან განსხვავდება.

ზოგჯერ ბავშვს ნერვებს უშლის სადილის შემდეგ ლოგინში წოლა. ის, ალბათ, ამჯობინებს, წყნარად ითამაშოს ან ახალშობილის მოვლაში მოგეხმაროთ.

### როგორ იწყება მადის პრობლემა

ბევრი ბავშვი ჭამს ცუდად. რატომ? იმიტომ რომ მშობლები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ აიძულონ ბავშვი, კარგად ჭამოს. ლეკვებს, მაგალითად, არ აწუხებთ მადის პრობლემა. არც იმ ქვეყნის ბავშვს აწუხებთ, სადაც დედებმა არ იციან კვების წესები და ამიტომ შეშფოთებულებიც არ არიან.

ზოგი ბავშვი „მგლის" მადით იბადება. მადა არ ეკარგება არც ავადმყოფობის დროს და არც მაშინ, როცა რაიმე აწუხებს. ზოგს კი უფრო ზომიერი მადა აქვს და ავადმყოფობის ან მღელვარების შედეგად ადვილად ჰკარგავს. ზოგი ბავშვი მსუქანი იბადება, ზოგი გამხდარი, მაგრამ ყოველ მათგანს დაბადებიდან თან დაჰყვება ჯანმრთელობისა და წონაში ნორმალური მატებისათვის საჭირო საკმარისი მადა.

უბედურება ის არის, რომ ბავშვს აგრეთვე თან დაჰყვება სიჯიუტის ინსტინქტი. თუ მას ზედმეტად უჩიჩინებენ, იმ საკვების ზიზღი უჩნდება, რომელიც უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს. არსებობს კიდევ ერთი სირთულე: ადამიანს მუდამ ერთი და იგივე საკვები როდი უყვარს. რამდენიმე ხნის მანძილზე შეიძლება საუზმედ ფხალი ან რომელიმე სახის ფაფა ჭამოს, მაგრამ ერთი თვის შემდეგ მათ დანახვაზეც კი აჟრჟოლებს. ზოგი ადამიანი ძალიან ბევრ ცომეულს და ტკბილეულს ეტანება, სხვებისთვის კი საკმარისია ამ პროდუქტების მცირეოდენი ულუფა.

როდესაც ყველაფერი ეს იცით, მით უფრო ადვილად გაიგებთ, როდის წარმოიქმნება მადის პრობლემა ბავშვებში. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დედა ცდილობს, ძალით დაალევინოს ბავშვს ზედმეტი რძე. ბავშვს კი აღარ უნდა და ამის გამო ჯიუტობს. ზოგჯერ ბავშვს თანდათანობით არ აჩვევენ მაგარი საკვების მიღებას. ბევრი ბავშვი საჭმლის გარჩევას ერთი წლის ასაკს ზევით იწყებს. ამის გამო ისინი ასე სწრაფად აღარ იმატებენ წონაში, როგორც სიცოცხლის პირველ წელს და, გარდა ამისა, უფრო თავნებანიც ხდებიან.

მადის გაუარესებას კბილების ამოჭრაც იწვევს. ბევრი ხვეწნა-მუდარა და ჩიჩინი კიდევ უფრო აქვეითებს მადას და, შესაძლოა, ბავშვი სამუდამოდ „ცუდ მჭამელად" გადააქციოს. ძალიან ხშირად მადის პრობლემა წარმოიქმნება ავადმყოფობის შემდეგ. გამოჯანსაღების გზაზე მდგარ ბავშვს ჯერ კიდევ არ გაღვიძებია მადა, დედა კი ცდილობს, საჭმელი ძალით „ჩატენოს" – ბავშვი საჭმელს შეიძულებს და ეს ზიზღი, შესაძლოა, სამუდამოდ გაჰყვეს.

მაგრამ მადის პრობლემა ყოველთვის ხვეწნა-მუდარის შემდეგ არ წარმოიქმნება. ბავშვი, შესაძლოა, საჭმელზე უარს ამბობს უმცროს დასა ან ძმაზე ეჭვიანობის ან კიდევ რაიმე სხვა განსაცდელის გამო. მაგრამ, რა მიზეზმაც არ უნდა გამოიწვიოს მადის დაკარგვა, დედის შეშფოთება და ხვეწნა-მუდარა საქმეს უფრო აუარესებს და ხელს უშლის მადის თავისთავად დაბრუნებას.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ თქვენი თავი ბავშვის ადგილზე. ეს რომ გაგიადვილდეთ, გაიხსენეთ, როდის არ გინდოდათ ჭამა, იქნებ ეს იყო ზაფხულის ცხელი დღე, იქნებ ვინმემ გაწყენინათ ან მუცელი გტკიოდათ. ახლა კი წარმოიდგინეთ, ერთი ვინმე თავზე დაგადგათ და აღელვებული ადევნებს თვალს ყოველ ნაჭერს, რომელიც პირთან მიგაქვთ.

როდესაც კვების პრობლემა წამოიჭრება, მისი გადაწყვეტა დროსა და მოთმინებას მოითხოვს. თუ დედა ერთხელ უკვე შეაშფოთა ბავშვის კვებამ, სანამ ბავშვი ცუდად ჭამს, მისი დამშვიდება ძნელი საქმეა და მაინც, სწორედ დედის შფოთვაწუხილი და ძალდატანება გახლავთ მთავარი მიზეზი, რაც ხელს უშლის მადის დაბრუნებას. დედა რომც მოერიოს თავის თავს და ბავშვს არაფერი აგრძნობინოს, საკმაოდ დიდი დროა საჭირო იმისათვის, რომ ბავშვს საჭმელთან დაკავშირებულმა უსიამოვნო ასოციაციებმა გაუაროს.

ექიმმა კლარა დევისმა დაადგინა, რომ პატარა ბავშვები, რომლებსაც, ასე თუ ისე, მოსწონდათ სხვადასხვა პროდუქტი, თვითონვე ირჩევდნენ ბალანსირებულ საკვებს შეთავაზებული ბუნებრივი პროდუქტებიდან. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ბავშვი, ვინც თვეების მანძილზე უარს ამბობდა ბოსტნეულზე, უცებ შეიყვარებს ბოსტნეულს მხოლოდ იმიტომ, რომ დედამ არჩევის ნება მისცა.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეთ, რომ ბავშვის ორგანიზმი აღჭურვილია თანდაყოლილი საოცარი მექანიზმით, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი და რა რაოდენობის საკვებია საჭირო ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის. მაგრამ ცუდი მჭამელი ბავშვი მაინც ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. ექიმი გასინჯავს ბავშვს, დაადგენს, რა და რა ნივთიერებები აკლია, გირჩევთ, რითი შეცვალოთ ის პროდუქტები, რასაც ბავშვი არ ჭამს, გასწავლით, როგორ მოექცეთ ბავშვს და დაგაწყნარებთ.

## ჟოლო

– ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი ნახევრად ბუჩქია 1,5 მ სიმაღლით. მისი ერთწლიანი ვეგეტატიური ყლორტები ბალახოვანია, ხოლო ორწლიანი – გამერქნებული და ნაყოფის მომცემი. ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ ხმება. ტოტებზე განლაგებულია ხშირი, მაგრამ შედარებით რბილი ეკლები.

ფოთლები ზემოდან შიშველია, ხოლო ქვედა ზედაპირი მოთეთრო მორუხო ქეჩისებრი ბუსუსებითაა მოფენილი. აქვს თეთრი ყვავილები და წითელი, იშვიათად – ყვითელი ნაყოფი, რომელიც გამოირჩევა სასიამოვნო სურნელითა და გემოთი. ყვავის ივნისში, ზოგან – ივლისში.

ნაყოფი დაყვავილებიდან 35-40 დღეში მწიფდება (ძირითადად ივლის აგვისტოში). მრავლდება თესლითა და ფესვის ნაბარტყით.



იზრდება კალთაშეთხელებულ ტყეებში, ტყისპირებში, ნახანძრალებზე, ნამეწყრალ ფერდობებზე, გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყლებში ზღვის დონიდან 2.500 მეტრამდე სიმაღლეზე, არცთუ იშვიათად ქმნის თავისი გაბატონებით ბიოჯგუფებს.

ჟოლოს გამხმარ ნაყოფებს გაციების დროს იყენებენ ოფლისმომგვრელ საშუალებად, მისგანვე ამზადებენ სიროფს სხვადასხვა წამლების გემოს გასაუმჯობესებლად. ნაყოფი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს. მისგან ამზადებენ მურაბას, კომპოტს, სიროფს, მარმელადს, ღვინოს, ჟელეს, ლიქიორს, გამაგრილებელ სასმელებს. შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა. 1 ჰექტარი ჟოლოს რაყა 100 კილოგრამამდე თაფლს იძლევა.

ჟოლოს ფოთლებში აღმოჩენილია ნაწლავების და საშვილოსნოს მუსკულატურის მასტიმულირებელი და სპაზმოლიტური მოქმედების ნივთიერებები.

გაციების დროს მისი ნაყოფის გამონაწვლილი გამოიყენება, როგორც ოფლისმომდენი საშუალება. ყვავილების ნახარშით წითელ ქარს და თვალის ანთებას მკურნალობენ, ფოთლების ნახარში კი იხმარება ყელის ტკივილის, ცხელების დროს. ეფექტურია ფერისმჭამელების და მუწუკების მოსაცილებლად, ასევე გამოიყენება პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად ღრძილებისა და ყელის ტკივილის სამკურნალოდ.

## ასტროპროგნოზი

### 24 ივლისისთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **კურო** – ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით. **ტყუპები** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. სიახლეა სასიყვარულო ურთიერთობებში. **კირჩხიბი** – შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ზედმეტი თავდაჯერებულობა საზიანოა. **ლომი** – გელით კარიერული წინსვლა. ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. **ქალწული** – ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ და არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – ვარსკვლავები გაფრთხილებენ – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. ნურავის მიენდობით, შესაძლოა, მოგატყუონ. **ღრიანკალი** – დღეს შეგიძლიათ თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით. შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა იმედი გაგიცრუოთ. **თხის რქა** – მიუხედავად სირთულისა, შეეცადეთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობის დროს კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. საღამოს აუცილებლად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ. ძალიან ნუ გადაიღლებით. მსხვილ შენაძენს ნუ გააკეთებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – პროფესიული საქმიანობა თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. ერიდეთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 2. შაქრით, ლიმონის წვენით, ჩაით შეზავებული ცხელი რომი; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. ორადგილიანი ველოსიპედი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. მუსიკალური ნაწარმები; 12. შტატი აშშ-ში; 14. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 15. დიპლომატიური წარმომადგენელი; 17. სიმინდის ფქვილისგან მომზადებული ორცხობილა; 18. მუსლიმანთა სამლოცველო.

**თარაზულად:** 6. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 7. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 8. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 16. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 19. ესპანური დილის სერენადა; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პატენტი; 2. ბროლი; 3. ბოტიჩელი; 4. ბულბული; 5. კორსანტია; 9. „მითანა"; 12. მალხაზი; 14. ნარიტა; 15. „გეთი"; 17. დვირი; 18. ალტი.

**თარაზულად:** 6. „ლამარა"; 7. „კონსუელო"; 8. ვექილი; 10. სუეცი; 11. ციცინათელა; 13. „ანტიგონე"; 16. კანადა; 19. ლოკატორი; 20. მაგელანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფოტოლიზი; 2. თრთვილი; 3. ყბედი; 4. ჩარგალი; 5. ჯორჯაძე; 10. ფოლკლორი; 11. სემირამიდა; 12. ასფალტი; 15. კასტელანი; 16. გრივნა; 17. გონდოლა; 22. ფრაუე.

**თარაზულად:** 6. ტოლერანტობა; 7. ფაეტონი; 8. გრაფიკა; 9. ღიმილი; 13. წეკო; 14. „ჰენესი"; 18. პალესტინა; 19. ქორქი; 21. არათი; 22. პამირი; 23. პალეოლითი; 24. შპინდელი.

# აშშ-ში უელსის დეკლარაციის 75-ე წლისთავი აღნიშნეს



აშშ-ში უელსის დეკლარაციის 75-ე წლისთავი აღნიშნეს. როგორც ცნობილია, თანახმად ამ დეკლარაციისა, აშშ-მ არ ცნო ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის — ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სსრკ-ის შემადგენლობაში შესვლის კანონიერება. ამ ქვეყნების მთავრობები წლების განმავლობაში ემიგრაციაში ფუნქციონირებდნენ. მათ დიპლომატიური წარმომადგენლობები 26 ქვეყანაში ჰყავდათ და ისინი ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობდნენ, როგორითაც სხვა სახელმწიფოების დიპკორპუსები.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აშშ ბალტიისპირეთის მიმართ წლების განმავლობაში მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებდა. შედეგად ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ევროპულ ოჯახს დაუბრუნდნენ. ქერიმ აღნიშნა, რომ დღეს რუსეთში აგრესიულ-იმპერიული ტენდენციები აღორძინდა. აშშ-ც კვლავინდებურად მტკიცედ დგას დემოკრატიისა და თავისუფლების სადარაჯოზე.

— რუსული აგრესიის განეიტრალებასა და მშვიდობის შენარჩუნებას ემსახურება ევროპაში პრო-ს (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა) სისტემის განთავსება, — თქვა ქერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში კვლავ ხდება იმისი მსგავსი მოვლენები, როგორიც ბალტიისპირეთში შორეულ 1940 წელს მოხდა. რუსეთმა განახორციელა ყირიმის ოკუპაცია და ანექსია, დაამყარა სეპარატისტული რეჟიმები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, დნესტრისპირეთში. რუსეთის აგრესიულობაზე ნათლად მიუთითებს ის, რაც დღეს დონბასში ხდება.

— აშშ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ მუდამ მტკიცედ ილაშქრებდა და მომავალშიც ასე იქნება! ჩვენ არასოდეს ვაღიარებთ არც აფხაზეთის, არც დნესტრისპირეთის ე.წ. დამოუკიდებლობას. როგორც ბალტიისპირეთი დაუბრუნდა ევროპას, ისე ეს რეგიონებიც, ადრე თუ გვიან, საქართველოსა და მოლდოვის შემადგენლობაში დაბრუნდებიან, — თქვა ქერიმ.

# ნადეჟდა სავჩენკო როსტოვის ოლქში გადაიყვანეს



უკანონოდ დაკავებული უკრაინელი მფრინავი ნადეჟდა სავჩენკო როსტოვის ოლქის ქალაქ დონეცკში გადაიყვანეს. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, სავჩენკოს სასამართლო 30 ივლისს სწორედ აქ გაიმართება.

— დონეცკი ფრონტისპირა ქალაქია. უცხოელ ჟურნალისტებს იქ ჩასვლა გაუჭირდებათ, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პროცესზე დასწრება არა მხოლოდ უცხოელი ჟურნალისტებისათვის, არამედ თვით სავჩენკოს დისთვისაც კი პრობლემატური იქნება, თუმცა ის ამ საქმეში მოწმედ ფიგურირებს. ამრიგად, სავჩენკოს სასამართლო, ფაქტობრივად, დახურულ რეჟიმში წარიმართება. განაჩენიც წინასწარაა გამოტანილი. უკრაინელ მფრინავს მკვლელობას დააბრალებენ და 20 წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან. ექსპერტები კრემლის ასეთ საქციელს ადარებენ გასულ საუკუნეში დისიდენტების დევნას. როგორც ცნობილია, დისიდენტებსაც შეთითხნილი ბრალდებით ასამართლებდნენ (მერაბ კოსტავა მეორედ ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლეს) და ეს პროცესებიც დახურული იყო.

— სავჩენკოს საქმემ ნათლად გვიჩვენა, რომ დღევანდელი რუსეთი სამართლებრივი სახელმწიფო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს რკინის ალიბი აღმოაჩნდა, მას მაინც ჩასვამენ. დამნაშავეა ის თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ სავჩენკოს ციხეში ჩასმა პუტინს აწყობს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# თორნიკე ყიფიანს სიმღერის ნაცვლად ჭამასა და წყალს დაჰპირდნენ

ეკა ირემაშვილი



მუსიკალურ შოუ „იქს ფაქტორის“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა თორნიკე ყიფიანმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მას ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თანაორგანიზატორი დაუკავშირდა, პლუს ფონოგრამაზე სიმღერა შესთავაზა და სანაცვლოდ ჭამასა და წყლის დალევას დაჰპირდა.

**თორნიკე ყიფიანი:**

— შარშან „იქს ფაქტორში“ მივიღე სერტიფიკატი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე მონაწილეობის უფლებით, რაც ძალიან გამიხარდა და კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანს ჩემდამი სიმპათიის გამოხატვისთვის, თუმცა დღეს ველარ ვხვდები, ეს მოვიგე თუ წავაგე, რადგან დამიკავშირდა ერთ-ერთი თანაორგანიზატორი და შემომთავაზა პლუს ფონოგრამაზე გამოსვლა, რომელიც გულისხმობს ვითომ სიმღერას, რისი წინააღმდეგიც ვიყავი და ვარ დღემდე... ასევე ბევრი მელაპარაკა უსახსრობაზე, უფულობაზე, არ გვაფინანსებს არავინო და შემპირდნენ, რომ მაჭმევენ და წყალს დამალევინებენ.

სირცხვილია, უნამუსობა და შეურაცხყოფაც. უპატივცემულობაა არა მხოლოდ ჩემ მიმართ, არამედ ზოგადად მუსიკოსების მიმართაც. ვფიქრობ, ამ ყველაფერში მონაწილეობა არ მივიღო იმ შემთხვევაში, თუ რაიმეს არ გამოასწორებს ვინმე.

ძალიან მინდა, ეს ამბავი მთავარ ორგანიზატორამდე მივიდეს, რადგან მგონია, ვილაცა რალაცას „ღრმად იდებს“ და, თუ მომეხმარებით და „დააშეარებთ“, მადლობელი დაგრჩებით.

პატივისცემით, თქვენი ყიფო.

# ნანი ბრეგვაძემ იუბილე კახეთში იზეიმა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცხოვრებაზე. სიკვდილის არ მეშინია. ხშირად მიწევს ფრენა და უმეტესობას შიში აქვს ხოლმე. არის მომენტები, როცა რაღაც საფრთხე არსებობს, მაგრამ ამასაც სიმშვიდით ვხვდები. წავალ ამქვეყნიდან და გადავალ იქ, სადაც ღმერთი ყველას ელოდება. ძლიერი ფსიქიკა მაქვს და ძალიან ხშირად ჩემი თავი ხელში ამიყვანია.

მინდა, ჩემი სამშობლო და ხალხი სიყვარულით იყოს სავსე, ქართველები ერთმანეთს პატივს სცემდნენ. ისეთი გრძნობაა, რომ ვერავინ ერთმანეთს ვერ იტანს. არ შეიძლება ამდენი ღვარძლი და შური ასეთ პატარა ერში. ჩემი დიდი სურვილია, უპირველეს ყოვლისა, მოვუსმინოთ ჩვენს პატრიარქს, ვიყოთ მოსიყვარულეები, უფლის მოშიშნი, კეთილშობილნი, დავაფასოთ ერთმანეთი. თუკი სიყვარულით ვიცხოვრებთ, უფალიც ჩვენთან იქნება და ჩვენზე ბედნიერი ერი ამქვეყნად არ იარსებებს, — ამბობს იუბილარი.

მომავალ წელს ნანი ბრეგვაძე დაბადების დღეს უფრო ფართო საზოგადოების გარემოცვაში აღნიშნავს. ის თავის ერთგულ მსმენელს ბათუმში, პიაცაზე დაგეგმილ კონცერტზე დაელოდება.

# თბილისის ბიგ ბენდი იურმალაში მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც სიმღერის საერთაშორისო კონკურსი „ახალი ტალღა“ იურმალიდან სოჭში გადაიტანეს, ლატვიაში დარჩენილმა ხელოვანებმა გადაწყვიტეს, კვლავაც გააგრძელონ შემოქმედებითი საქმიანობა იურმალაში და კონცერტები და ფესტივალები დაგეგმეს. ქალაქის მერიამ ღონისძიებებისთვის 700.000 ევრო გამოყო.

პირველმა საკონცერტო დარბაზ „ძინტარიში“ კონცერტები ლატვიელმა მომღერალმა ლაიმა ვაიკულემ გამართა. მან თავის კონცერტებზე მხოლოდ ის მომღერლები მიიწვია, რომლებიც პირადად იმსახურებენ მის სიმპათიას. მათ შორის ქართველი მომღერალი ნანი ბრეგვაძეც მოხვდა.

იურმალაში დაარსდა ფესტივალი, რომელიც სხვადასხვა კულტურულ მიმდინარეობას აერთიანებს. წელს „ძინტარიში“ შეკრებილი მაყურებლის წინაშე წარდგებიან მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები. ერთი კვირის განმავლობაში ფესტივალს ესტუმრებიან ცნობილი მომღერლები, მსახიობები, მილანის ოპერისა და თეატრის საბალეტო დასი, თბილისის ბიგ ბენდი სრული შემადგენლობით. ბიგ ბენდის ვოკალისტები მსმენელისთვის მსოფლიო ჰიტებსა და უმეტესად ქართულ სიმღერებს შეასრულებენ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ფესტივალზე მხოლოდ თბილისის ბიგ ბენდია მიწვეული, რაც მის ხელმძღვანელ გაიოზ კანდელაკისთვის ნამდვილად საამაყოა.



# სამგლოვიარო განცხადებები

## ლაურა ქველაძის მონატრება



ნათქვამია, წუთისოფელს მაშინ გაუგებ, როცა შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ალერსს, სიყვარულსა და სითბოს ეზიარებიო.

შენ ეს ყველაფერი განიცადე, რომ არა მწარე, ტკივილიანი, ხანგრძლივი ავადმყოფობა, რომელსაც შენი ოჯახი ბევრს ებრძოდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. შარშან, 24 ივლისს, მწარე ტკივილით გატანჯულმა, მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე, რასაც განიცდის ყველა შენიანი და გიგონებენ.

უფალო, მისი სული დაამკვიდრე სამოთხეში!
მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა!
იძინე ტკბილად!

ოჯახი

## დიელო ნიგნაძე-პაპუნაშვილის ხსოვნას



ჩვენო საყვარელო დიელო, 24 ივლისს ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. შენ ხომ სიცოცხლისა და სიყვარულის ეტალონი იყავი. კარგი მეოჯახე, დედა, განუმეორებელი რძალი. თელავის მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, შენმა ყოფილმა მოსწავლეებმა დიდი გულისტკივილით გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე. შენ ხომ 25 წელი ემსახურე ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შალაურის საშუალო სკოლაში. ჟამთა სიავემ გაიძულა, დაგეტოვებინა სკოლა იმ იმედით, რომ უცხოეთში წასვლით ოჯახს ფეხზე დააყენებდი. იცოდი, რომ განუკურნებელი სენი გქონდა, მაგრამ მაინც უმკლავდებოდი ოჯახის ყველა მოთხოვნას. ორივე შვილს — ელენესა და გიგას — სათანადო განათლება მიეცი. ელენემ მუშაობით ოჯახს შეღავათი მისცა და კარგ მეორე ნახევართან — ჯაბა ჯიქიძესთან ღირსეული ოჯახიც შექმნა. ვაგლახ, რომ ვერ მოესწარი შვილიშვილის დაბადებას.

შენ იყავი სიკეთითა და სიყვარულით სავსე, თავმდაბალი, მშვიდი, დიდ სანათესაოში დაფასებული პიროვნება. არ იმჩნევდი იმ დიდ წუხილსა და გულისტკივილს, რომელიც გიგას სარწმუნოების შეცვლით განიცადე. ძირძველი ქრისტიანული ოჯახისთვის ეს შავი ლაქა მოუშუშებელ ჭრილობად გაგყვა სამარეში.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. დაე, ჩვენ მიერ ანთებულმა წმინდა სანთლებმა გაგინათოს სამარადისო სასუფეველი.

უზომოდ დამწუხრებული მეუღლე ნოდარი, შვილი ელენე, სიძე ჯაბა, ძმა გენადი, რძალი თამარი ოჯახით, მამიდაშვილი ლია ოჯახით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მძახლები მარინა და მიშა, მეუღლის დეიდა ნუნუ ძამუკაშვილი, ბიძა ვაჟა ებანოიძე ოჯახით

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

პარასკევი 24 ივლისი

08.00 დ/ფ "ოდისეები" 08.30 ან./ფ "ცხოველთა სამყარო", "მადმუაზელ ზაზი" 09.30 "სადილის დრო" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.20 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 11.20 "საუკუნის პორტრეტები" 12.30 მხ/ფ "**ჯუნიორი**" 14.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 მხ/ფ "**ჩარლი უილსონის ომი**" (ჯ. რობერტსი) 23.40 მხ/ფ "**უკუწევა**" (უ.ბოლდუინი) 02.00 დ/ფ "ქალაქები"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ზეთი სიამაყე" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 11.00 დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" 12.00 მხ/ფ "**მზე სულში**" 16.00 დ/ფ "ლუტეცია და მისი მგლები" 18.00 დ/ფ "ინკების მარილი" 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "**ანჯელას ფერფლი**"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, ქრონიკა 10.05 სერ. "**კარმა**" 11.20 სერ. "**ბოშა ქალი**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**სიცოცხლის საფასური**" 18.45, 19.03 სერ. "**გზაჯვარედინი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 **კონცერტი:** იამზე დოლაბერიძის ვარსკვლავის გახსნა 00.00 შალვა რამიშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "**მუშკეტერი**" (ტ.როტი) 03.00 მხ/ფ "**ამანდას ძებნაში**" (ბ. სნოუ)

06.30, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 63 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ. ფილ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 საგუშაგო კოშკი-იელოვას მოწმეები 11.25 კარაბადინი 12.10 "პორტრეტები" 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 აქტუალური თემა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 საყმაწვილო ენციკლოპედია 16.30 კონცერტი 17.30 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი ) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ქართული ხმები-წინანდალი 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "კავთურის ხეობა" II ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ. ფ. 00.35 დოკ. ფ. 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 23.20, 2.10, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**სონიკ იქსი**" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.30 "ქალაქი და ადამიანი" 16.05, 17.05 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 19.00 **სერიალი "კატერინა"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "ვანგელია"** 23.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.30 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2572 |
| ევრო | 2.4511 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.5086 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9625 |

**ამინდის პროგნოზი 24 ივლისისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა



კალეიდოსკოპი

## ბრიჯიტ ბარდო ავსტრალიელებს აკრიტიკებს



ფრანგმა მსახიობმა ბრიჟიტ ბარდომ წერილი მისწერა ავსტრალიის გარემოს დაცვის მინისტრს, რომელშიც ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილება, გაანადგუროს ორ მილიონამდე მაწანწალა კატა, გააკრიტიკა.

80 წლის ბარდომ ცხოველების მასობრივი განადგურების ალტერნატივა – სტერილიზაცია შესთავაზა.

– ნაოპერაციები კატები საკუთარი ტერიტორიის დაცვას გააგრძელებენ, მაგრამ ველარ გამრავლდებიან, – განმარტა ფრანგმა მსახიობმა. მან მოითხოვა, რომ კატების სტერილიზაცია იმ თანხით ჩატარდეს, რომელიც ცხოველების გასანადგურებლად იყო გამოყოფილი.

– სირცხვილია ორი მილიონი კატის დახოცვა იმ დროს, როდესაც მათი რაოდენობა 20 მილიონადაა შეფასებული, – დაწერა წერილში ბარდომ.

ავსტრალიის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მასალების თანახმად, კატებმა, რომლებიც მწვანე კონტინენტზე ორი საუკუნის წინ შეიყვანეს, ადგილობრივი ცხოველების 10 პროცენტის სრულად გაქრობას შეუწყვეს ხელი.

## იტალიელებმა ჰაშიშიანი სპაგეტი წარმოადგინეს



იტალიელმა ფერმერებმა ლონდონში მიმდინარე ფესტივალზე ბელავიტა, კანაფისგან დამზადებული პასტა, ზეთი და პური წარმოადგინეს.

მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ ასეთი საკვები არ შეიცავს ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, ისევე, როგორც პესტიციდებს. მათი თქმით, კანაფი პროდუქტებში მხოლოდ გემოს შესაცვლელად გამოიყენება. როგორც ერთ-ერთმა ფერმერმა მარციო ილარიო ფიორემ განაცხადა, რომელმაც ფესტივალზე კანაფის ზეთი და ფქვილი წარმოადგინა, მისი პროდუქცია „ჭეშმარიტად ორგანულია“.

ფიორემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მოსავალს მუდმივად ამოწმებს იტალიის პოლიცია, რათა დარწმუნდეს, რომ მასში ფსიქოტროპული ნივთიერება ტეტრაჰიდროკანაბინოლი დასაშვებ ნორმას არ აღემატება.

იტალიამ კანაფის მოყვანაზე აკრძალვა 1998 წელს გააუქმა. მცენარის ის სახეობა, რომელიც ფსიქოტროპული ნივთიერების უმნიშვნელო რაოდენობას შეიცავს, კულინარიაში გამოიყენება.

## ბრიტანელმა კომიკოსმა თანამემამულენი აღაშფოთა



ბრიტანელმა კომიკოსმა და მსახიობმა რასელ ბრენდმა სოციალური ქსელების მომხმარებელთა აღშფოთება მას შემდეგ გამოიწვია, როდესაც ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც წამოაყენა წინადადება, დედოფალი ელისაბედ II „მისის ბრატვურსტ-კრაუტ-ნაციდ“ მოიხსენიონ.

– ჩვენ მას „თქვენო უდიდებულესობავ“ უნდა ვუწოდოთ, თითქოსდა ის ისეთივე დიდებულია, როგორც არწივი ან მთა. ის, უბრალოდ, ადამიანია, პატარა მოხუცი ლედი თავზე ქუდით, რომლის ფულიც ყველა ჩვენგანის გადახდილია, – დაწერა ბრენდმა, შემდეგ კი გამოთქვა საკუთარი შეხედულება იმაზე, თუ როგორ უფრო იქნება მიზანშეწონილი დედოფლის მოხსენიება.

– უნდა ვუწოდოთ მისის უინძორი. არც ესაა მისი ნამდვილი სახელი. სინამდვილეში მას ჰქვია საქს-კობურგ-გოტა, – განაცხადა მსახიობმა, რითიც დედოფლის გვარის გერმანულ ფესვებზე მიანიშნა, – გასაკვირი სულაც არ არის, რომ გვარი შეიცვალეს. ის ხომ ყველაზე გერმანული გვარია მსოფლიოში, როგორიც კი გამიგია. და კიდევ, მას შეგვიძლია დავუძახოთ მისის ბრატვურსტ-კრაუტ-ნაციდ.

ფეისბუქის მომხმარებლებმა ბრენდის წერილი შეურაცხმყოფელად მიიჩნიეს როგორც დედოფალ ელისაბედ მეორისთვის, ისე ყველა გერმანელისთვის. გარდა ამისა, კომიკოსს ფარისევლობაზე მიუთითეს და შეახსენეს, რომ მმართველ კლასს ის მხოლოდ საკუთარი მაღალი შემოსავლების წყალობით განეკუთვნება და არა გვარიშვილობით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რეალური ჭორ-მართალი

**ესპანური მედიის ინფორმაციით, მადრიდის „რეალი“ მზად იყო, სერხიო რამოსი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაეშვა და ძირითად ცენტრალურ მცველებად პეპე და ვარანი გამოეყენებინა.**



ალმოჩნდა, რომ ფრანგ მცველს ფეხის ტრავმა აწუხებს, რომელიც ბოლომდე ვერ მოიშუშა. ამ მიზეზით მას რამდენიმე ვარჯიშის გამოტოვებაც მოხდა. აქედან გამომდინარე, რამოსის გაშვებით „თეთრები“ მხოლოდ პეპეს იმედზე რჩებოდნენ. რა თქმა უნდა, ბენიტესი შეიძენდა ახალ მცველს სერხიოს წასვლის შემთხვევაში, მაგრამ, რამდენად სწრაფად შეეწყობოდა ახალი მცველი პეპეს, რთული სათქმელია. აქედან გამომდინარე, პერესი ყველაფერს გააკეთებს, რომ სერხიომ გუნდი არ დატოვოს.

ესპანეთის დედაქალაქში ჟურნალისტებმა კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს, რომლის მიხედვითაც სერხიო აგუეროს აგენტი მადრიდში იმყოფებოდა.

ფლორენტინო პერესის მოთხოვნით შეხვედრა არა რესტორანში, არამედ გასაიდუმლოებულ გარემოში შედგა და მხარეებმა კონტრაქტის დეტალებზე ისაუბრეს.

გავრცელებული ინფორმაციით, სერხიოს ესპანეთის დედაქალაქში დაბრუნება სურს, თუმცა გამოცდილი მეგობარი ფეხბურთელების აზრსაც კითხულობს და გარკვეულწილად ითვალისწინებს.

წინასწარი ინფორმაციით, „ბლანკოსი“ სერხიოს სანაცვლოდ 58 მილიონ ევროს გადაიხდის.

ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა პრემიერ ლიგის მოგება და „რეალის“ გაძარცვა დაისახა მიზნად და შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. როგორც მოგეხსენებათ, უკვე დიდი ხანია, მედიასაშუალებებით ვრცელდება ჭორები ქარიმ ბენზემას „მეთოფეებში“ გადასვლასთან დაკავშირებით. ინგლისური მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ, ფრანგი ფორვარდის გარდა, „არსენალი“ ისკოს შეძენასაც გეგმავს.

ისკომ ჯერჯერობით „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა. მართალია, მას სათამაშო დრო არ აკლია და ეფექტური თამაშის წყალობით გულშემატკივრებს მალევე შეაყვარა თავი, თუმცა მაინც სათადარიგო ფეხბურთელად განიხილება. ლონდონური კლუბი მზად არის, ნახევარმცველის ტრანსფერთან დაკავშირებით „რეალთან“ მოლაპარაკებები დაიწყოს.

რაც შეეხება კარიმ ბენზემას, მისი ტრანსფერის შესახებ ხმები ბოლო პერიოდში შეწყდა. ვარაუდობენ, რომ ფლორენტინო ჯერ მზად არ არის, გაუშვას ბენზემა, რადგან ალტერნატიული ვარიანტი შერჩეული არ ჰყავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ნანი ბრეგვაძემ იუბილე კახეთში იზეიმა

**ეკა ირემაშვილი**



მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ დაბადების დღე კახეთში, „შატო მერეში“, უახლოესი მეგობრების გარემოცვაში აღნიშნა. ამ დღეს იუბილარი იყო ორი ცნობილი მომღერალი – ნანი ბრეგვაძე და ლიზა ბაგრატიონი. ხელოვანების გარემოცვაში მყოფმა იუბილარებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი იმღერეს და სადღესასწაულო ტორტებზე დანთებული სანთლებიც ჩააქრეს. საიუბილეო დღესასწაულის ორგანიზება კომპანია „არტ პალასმა“ ითავა.

ნანი ბრეგვაძე არ მალავს, რომ განსაკუთრებულად ბედნიერია. მუსიკას ემსახურებიან მისი შვილი ეკა მამალაძე და შვილიშვილი ნატალია ქუთათელაძე. საოპერო მომღერალი ჯულიარდშიც ჩაირიცხა და შემოდგომაზე სწავლას საზღვარგარეთ გააგრძელებს. ყველაზე დიდი სიხარული იუბილარისთვის პატარა შვილთაშვილია, რომელიც მის უფროს შვილიშვილს, ლევანს, ჰყავს.

– წლების მატებას არ განვიცდი. უბრალოდ, ხშირად ვფიქრობ იმქვეყნიურ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



სოფლელს ქალაქიდან სტუმარი ეწვია. მასპინძელმა გაუშალა სუფრა. მიადგა ქალაქელი და გადაჭამა ყველაფერი. მასპინძელმა უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– შენ ამაღამ მაცივარში თუ დაგაწვენ, თორემ გაგიფუჭდება მაგ საჭმელი მუცელში...

•••

კაცი მატარებლით მგზავრობს. მოუნდა ტუალეტში, შევიდა და ხედავს, შიგნიდან კარი არ იკეტება, სხვა რა გზა ჰქონდა და დაჯდა უნიტაზზე. ამ დროს ქალმა შემოაღო კარი და მამაკაცს მიაჩერდა. კაცმა ახედა და ეუბნება:

– რას იზამ ახლა ქალბატონო, გახვალ და გაიხურავ კარს, თუ ჩევიწიო და ჩამოგაჯინო?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ვინ ეშმაკმა მოიგონა ცოლი, არ უნდა მომეყვანა, ცოლქმრობა სისულელეა.

– რატომ?

– რატომ და დავთვრები და ის ვერ მიტანს, გამოვფხიზლდები და დასანახად მე ვერ ვიტან...

•••

სოფლის გზაზე მიმავალი სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩერდა და ექიმმა ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს ავადმყოფის მისამართი ჰკითხა. კაცმა ექიმს უპასუხა:

– აგერ, ბიძიკო, ამ ჩაყოლებაზე სულ მაგ გვარის ხალხი ცხოვრობს, მაგენი არც ერთი არ არის „ხოდზე“ და რომელთანაც გინდათ, იმათთან შედით, მადლია მაგათზე...

•••

გაკვეთილზე მოსწავლეები ს-ს წერას სწავლობენ. ერთ-ერთი მოსწავლე დაიწყებს ზევიდან რომ უნდა მოამრგვალოს და მასწავლებელს ეკითხება:

– მასწავლებელო, ამ სუს თავი შენსკენ უნდა ვუქნა თუ ფანჯრისკენ?

– მამაშენისკენ, შე შობელძაღლო!!!

•••

კლიენტი რესტორანში ოფიციანტს უხმობს და ეკითხება:

– გარეული იხვი გაქვთ?

– გარეული არა, მაგრამ თუ გინდათ, შინაურს გადავრევთ და ისე მოგართმევთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქაღალდის ფული; 2. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 10. კინოცენტრი იტალიაში; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 12, თეთრი ფერის ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 15. აზნაურის ტიტული ესპანეთში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 17. სამაგიეროს გადახდა; 20. მთავარი მოედანი მილანში.

**თარაზულად:** 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 8. ჭაობის ბუ; 9. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 13. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 14. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 18. ქართული ხალხური თამაში სპეციალური ბურთით; 19. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. სპილენძის ჩასაბერი

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*